ᲩᲕᲔᲜᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ
XXIII
ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ
ᲞᲔᲡᲐᲮᲕᲔᲓᲠᲐᲓ

ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲔᲑᲝ, ᲤᲐᲠᲗᲝᲓ ᲒᲐᲕᲐᲩᲐᲦᲝᲗ ᲬᲘᲜᲐᲡᲐᲬᲧᲠᲘᲚᲝᲑᲝ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐ, ᲛᲘᲕᲪᲔᲗ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ ᲛᲘᲜᲐᲗᲛᲝᲛᲭᲔᲓᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲪᲮᲝᲕᲔᲚᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲔᲢᲘ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲢᲔᲑᲘ, ᲛᲝᲒᲘᲚᲝᲪᲐᲕᲗ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐᲡ, ᲬᲐᲚᲙᲔᲚᲝ ᲛᲔᲙᲐᲠᲯᲝᲤᲘᲚᲔᲔᲑᲝ!

ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲣᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ — ᲝᲠᲒᲐᲜ ᲪᲙ ᲙᲠ ᲒᲠᲣᲖᲘᲐᲡ, ᲕᲔᲠᲮᲕᲝᲕᲜᲝ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ 46-Ე ᲬᲚᲘᲡ № 266 (13351) | ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 11 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ, 1965 Წ. | ᲤᲐᲡᲘ 2 ᲙᲐ�პ.

ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ ᲘᲓᲔᲔᲑᲘᲡ ᲓᲘᲐᲓᲘ ᲫᲐᲚᲐ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲮᲐᲚᲮᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲬᲘᲠᲝᲛᲘᲗ, როგორც თავიანთი დიდი დღესასწაული, აღნიშნეს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 48-ე წლისთავი სოციალისტის ქვეყნების ხალხებმა და მთელი მსოფლიოს მშრომელებმა. 67 ქვეყნის წარმომადგენლებმა მიიღეს მონაწილეობა მოსკოვში გამართულ ზეიმში. ესენი იყვნენ კომუნისტური, მუშათა და ეროვნულ-დემოკრატიული პარტიების წარმომადგენლები, რევოლუციური მოძრაობის ვეტერანები, მრავალი ხელმწიფოს პროფკავშირული მოღვაწეები, ახალგაზრდობის, ქალთა, კულტურული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები. კომუნიზმის მშენებელ ხალხს მათ ჩამოუტანეს დედამიწის მილიონობით და მილიონობით ადამიანის მეგობრული მილოცვები და ახალ დიდ წარმატებათა სურვილები. მსოფლიოს ყველა კუთხიდან მოდის ცნობები დიდი ოქტომბრის დღესასწაულისადმი მიძღვნილი მასობრივი მიტინგების, საზეიმო სხდომების, კრებების, შეხვედრების, კინოფესტივალების, გამოფენებისა და სხვა ღონისძიებების შესახებ. ჩვენი სოციალისტური რევოლუციის 48-ე წლისთავის შესახებ ამ დღეებში ათასობით სტატიას აქვეყნებენ მსოფლიოს გაზეთები და ჟურნალები. კრემლის ყრილობათა სასახლეში გართული საზეიმო სხდომის, წითელ მოედანზე მოწყობილი პარადისა და დემონსტრაციის რეპორტაჟები რადიოთი მოისმინეს და ტელევიზიით ნახეს დედამიწის სხვადასხვა კუთხეში.

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება უმნიშვნელოვანესი მოვლენაა მსოფლიო ისტორიაში, როცა მთელი კაცობრობისათვის ახალი ცხოვრების განთიადი დადგა. ოქტომბრის დღე მშრომელთა ჭეშმარიტად მსოფლიო დღესასწაული გახდა. მას ფართოდ აღნიშნავენ მოძმე სოციალისტური ქვეყნების ხალხები, რომლებიც მიდიან ახალი საზოგადოების მშენებლობის ძლევამოსილი გზით. სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების პარტიათა და მთავრობათა მესაჭეებში ჩვენი პარტიისადმი, მთავრობისა და საბჭოთა ხალხისადმი ხაზგასმულია ოქტომბრის სამშობლოს უდიდესი დამსახურება სოციალიზმისა და კომუნიზმის საქმისათვის, მშვიდობისა და ხალხთა მეგობრობისათვის ბრძოლაში. „რევოლუციის ჭარცეულხლში აღმოცენებული საბჭოთა სახელმწიფო, რომელსაც ლენინის დიადი პარტია ხელმძღვანელობს, — ხაზგასმით აღნიშნულია პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს და მინისტრთა საბჭოს მისალმებაში, — თითქმის ნახევარი საუკუნეა მტკიცედ და ძლევამოსილად აშენებს ახალ ცხოვრებას. სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის საქმეში საბჭოთა ხალხის ისტორიული წარმატებანი მაგალითი და-მთავონებაა სხვა ქვეყნების მშრომელებისათვის, რომლებიც იბრძვიან საზოგადოებრივი სამართლიანობის წყობილებისათვის. ამავე დროს საბჭოთა კავშირი მოწინავე ძალაა მშვიდობისა დაპროგრესისათვის, იმპერიალიზმისა და საერთაშორისო რეაქციის აგრესიული მოქმედების წინააღმდეგ ბრძოლაში. საბჭოთა კავშირის თანმიმდევრული სამშვიდობო პოლიტიკა მსოფლიოს ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხის მხარდაჭერით სარგებლობს".

ოქტომბრის იდეებით, საბჭოთა კავშირის მაგალითით, რომელსაც წილად ხვდა ამოცანა პირველს აეშენებინა სოციალიზმი, ხოლო ახლა გზას კაფავს ყველაზე სრულყოფილი საზოგადოებრივი წყობილებისაკენ — კომუნიზმისაკენ, შთაგონებული არიან კაპიტალისტური ქვეყნების მუშათა კლასი, განვითარების გზაზე მდგომი ახალგაზრდა სახელმწიფოების ხალხთა მასები, ხალხები, რომლებიც დღეს იბრძვიან იმპერიალიზმის აგრესიის წინააღმდეგ, კოლონიალიზმის უღლისაგან განთავისუფლებისათვის. გეგმიანი ეკონომიკა, ეროვნული ეკონომიკის ინტენსიური ზრდა, ეროვნული შემოსავლის ზრდა, ხალხთა კეთილდღეობის ამაღლება, ეროვნული კულტურის აყვავება, ეროვნული ინტელიგენციის ფეხმოკიდებული ზრდა, ეროვნული კადრების ფართო ფენა, ეროვნული ეკონომიკის ინტენსიური ზრდა, ეროვნული ეკონომიკის ინტენსიური ზრდა, ეროვნული ეკონომიკის ინტენსიური ზრდ

წალკელ მეკარტოფილეთა დიდი გამარჯვება

სახელმწიფოს მიეყიდა 25.200 ტონა კარტოფილი, ნაცვლად 14.400 ტონისა

ორგანიზაციულ მუშაობა წარმატებათა სათავეა

ა. მაკაროვი,
საქართველოს კპ წალკის რაიკომის პირველი მდივანი.

კარტოფილი წამყვანი კულტურაა წალკის რაიონის ეკონომიკაში. ამიტომ ცხადია, რომ ამ კულტურის წარმოების ინტენსიფიკაციის საკითხებს ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უჭირავს პარტიის რაიკომის, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პარტიული ორგანიზაციების საქმიანობაში. ნაგვიანევი გაზაფხულის მიუხედავად, რაიონის მშრომელებმა კარტოფილი დათესეს 3.506 ჰექტარზე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 3.410 ჰექტარისა.

რაიონის მეკარტოფილეებმა ამოცანად დაისახეს მოეყვანათ კარტოფილის უხვი მოსავალი. ამ მიზნით პარტიის რაიკომისა და სოფლის მეურნეობის რაიონული სამმართველოს მუშაკებმა, აგრეთვე პირველ-ოდა პარტიულმა ორგანიზაციებმა წლის განმავლობაში დიდი განმარტებითი და პროპაგანდისტული მუშაობა გასწიეს მეკარტოფილეებში, აღმოფხვრეს მთელი რიგი წლების მანძილზე ჩამოყალიბებული მავნე პრაქტიკა ეკონომიის გაწევისა კარტოფილის თესლზე. თუ წინათ თვითეულ ჰექტარზე კარტოფილს ვთესავდით სულ ბევრი 1.8-2.5 ტონას, წელს სოფლების აშკალის, ჯინისის, კუშჩის, ნარდევნის კოლმეურნეობებში, წალკისა და ავრანლოს საბჭოთა მეურნეობებში თვითეულ ჰექტარზე დაიხარჯა სულ მცირე 3-3.5 ტონა თესლი.

პარტიულმა ორგანიზაციებმა დიდი მუშაობა გასწიეს რაიონის 1966-1970 წლების გეგმების შემუშავებაზეც. ანალიზს უკეთებდნენ და მხედველობაში იღებდნენ არა მარტო კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ნიადაგისა და ჰავის კონკრეტულ პირობებს, არამედ აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციფიკას. მეურნეობების მთელი რიგი წინა წლების საქმიანობის შედეგებს. ნათესი ფართობებისა და საშუალო მოსავლიანობის მიხედვით მნიშვნელოვნად გადიდებულ იქნა კარტოფილის ჩაბარების გეგმა. კარტოფილის მოსავლიანობის გადიდების ამოცანისადმია დაკვეთმდებარებული ყველაფერი — ნათესი ფართობების სტრუქტურა, მეცნიერებისა და მოწინავე გამოცდილების მიღწევები, პარტიული ორგანიზაციების, სოფლის მეურნეობის სპეციალისტების მთელი საქმიანობა.

ჩვენი მოწინავეების ინიციატივით ბევრმა კოლმეურნეობამ და საბჭოთა მეურნეობამ დაიწყო ორგანული და მინერალური სასუქების უკეთ გამოყენება, მეცნიერების მიღწევათა დანერგვა პრაქტიკაში. კარტოფილის ნათესებში შეტანილ იქნა 70.000 ტონამდე ორგანული და 2.000 ტონა მინერალური სასუქები. ეს უფრო მეტია, ვიდრე ოდესმე ყოფილა შეტანილი.

კარტოფილის თესვა-მოყვანის კომპლექსური მექანიზაციის საკითხებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი რაიონისათვის. მექანიზაციის დანერგვა დიდი რაოდენობით ათავისუფლებს მუშახელს და ბევრად ამცირებს პროდუქციის თვითღირებულებას. რაიონის პარტიულმა ორგანიზაციებმა კურსი აიღეს კარტოფილის თესვის, მოვლისა და მოსავლის აღების მაქსიმალურ მექანიზაციაზე. დიდი რაოდენობით იქნა შეძენილი კარტოფილსარგავი მანქანები, საკიდი კულტივატორები, სასუქშესატანი მანქანები, ბადურა ფარცები, კარტოფილსათხრელი მანქანები და სხვა საჭირო ტექნიკა.

ავრანლოს საბჭოთა მეურნეობის კომუნისტ-მექანიზატორების ა. კალოეროვისა და ს. კორელოვის ინიციატივით რაიონში გაჩაღდა შეჯიბრება კარტოფილის მოყვანისათვის ხელის შრომის გამოუყენებლად. შეჯიბრების ინიციატორებმა ჯერ კიდევ შარშან 60 ჰექტარ ფართობზე მანქანებით აიღეს დიდი მოსავალი — 110 ცენტნერი კარტოფილი ჰექტარზე. ამის შედეგად ცენტნერი კარტოფილის თვითღირებულება მათ დაიყვანეს 5 მანეთამდე და 50 კაპიკამდე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 8 მანეთისა და 50 კაპიკისა, მაშინ როცა ფაქტიური თვითღირებულება საბჭოთა მეურნეობაში 14 მანეთს უდრიდა.

ამ საბჭოთა მეურნეობის პარტიულმა ორგანიზაციამ გულდასმით გაუკეთა ანალიზი მოწინავეთა გამოცდილებას და გადაწყვეტა უახლოეს 2-3 წელიწადში მთლიანად აიღოს ხელი კარტოფილის ხელით თესვა-მოყვანაზე.

პარტიის რაიონულმა კომიტეტმა ავრანლოს საბჭოთა მეურნეობაში გამართა კარტოფილის თესვა-მოყვანის საშუალოთა მექანიზაციის საკითხისადმი მიძღვნილი თათბირი. შეკრებილნი — მეურნეობათა ხელმძღვანელები, აგრონომები, მექანიზატორები — პრაქტიკაზე გაეცნენ ავრანლოელთა გამოცდილებას, რომლებმაც წელს განახორციელეს კარტოფილის მექანიზებული თესვა 282 ჰექტარ ფართობზე. წარმოების მოწინავეებმა შეკრებილთ გაუზიარეს კომპლექსური მექანიზაციის გამოცდილება, უჩვენეს საკადი კულტივატორებით კარტოფილის დამუშავების პროცესი და უპასუხეს მთელ რიგ კითხვებზე.

ავრანლოელთა თაოსნობას ახლა უკვე მხარი დაუჭირა ჩვენი მეურნეობების უმრავლესობამ. წალკის საბჭოთა მეურნეობაში კარტოფილის თესვა-მოყვანის კომპლექსური მექანიზაცია განხორციელდა 115 ჰექტარზე, ბეშთაშენის საბჭოთა მეურნეობაში — 80 ჰექტარზე, სოფელ აშკალის კოლმეურნეობაში — 58 ჰექტარზე, ხოლო მთლიანად რაიონში — 800-ზე მეტ ჰექტარზე.

მიუხედავად ყველა სიძნელისა, რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა კარგი მოსავალი მოიყვანეს. მოსავლის აღება კი, რომელიც დიდ დროს, ძალასა და ენერგიას მოითხოვს, ყველაზე რთულ კლიმატურ პირობებში დაიწყო. სექტემბრის უკანასკნელ დეკადასა და ოქტომბრის პირველ ნახევარში ხშირად წვიმდა. შემდეგ თოვლი მოვიდა და სუსხმა დაჭირა. კარტოფილის ამოღებისა და დამზადების სამუშაოები გართულდა.

კარტოფილის მოსავლის ასაღებად, გარდა კოლმეურნეებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშებისა, დიდი შრომა გასწიეს მოსწავლეებმა. საწარმოთა და დაწესებულებათა მოსამსახურეებმა, მთელმა შრომისუნარიანმა მოსახლეობამ.

მოსავლის უსწრაფესად აღების, დანაკარგების მინიმუმამდე შემცირებისა და სახელმწიფოსათვის კარტოფილის მიყიდვის ვალდებულებათა შესრულებისათვის ბრძოლის ადგილებზე სათავეში ჩაუდგნენ პარტიის რაიკომის წევრები, რაიონის სოფლის შეურნეობის სამმართველოს სპეციალისტები, პასუხისმგებელი საბჭოთა და სამეურნეო მუშაკები.

კარტოფილის უხვი მოსავალი მიიღეს რაიონის მოწინავე მეურნეობებმა. სოფელ ქვემო ხარაბის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ფ. ბაჯიევი, პარტორგანიზაციის მდივანი ს. ფოტოვი) თვითეულ ჰექტარზე აიღო 150 ცენტნერი კარტოფილი, სახელმწიფოს მიჰყიდა 2.500 ცენტნერი კარტოფილი და გეგმა შეასრულა 294 პროცენტით. სოფელ ჯინისის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე რ. ხრისტიანოვი, პარტბიუროს მდივანი ფ. ანანიკოვი) თვითეულ ჰექტარზე მიიღო 120-125 ცენტნერი კარტოფილი, ხოლო მოწინავე ბრიგადამ, რომლის ხელმძღვანელია ვ. ემინოვი, — 145-150 ცენტნერი. კოლმეურნეობამ სახელმწიფოს მიჰყიდა 15.000 ცენტნერი კარტოფილი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 5.500 ცენტნერისა. კოლმეურნეობა განაგრძობს სახელმწიფოსათვის კარტოფილის მიყიდვას.

ახლისავე შესანიშნავ წარმატებებს მიაღწიეს სოფელ აშკალის კოლმეურნეობისა (თავმჯდომარე მ. ხეჩოიანი, პარტბიუროს მდივანი ხ. მართიროსიანი) და კუშჩის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე ლ. მელრაბიანი, პარტბიუროს მდივანი ბ. სარქისიანი) მეკარტოფილეებმა. თვითეულმა მათგანმა ჰექტარზე მოიყვანა 130-135 ცენტნერი კარტოფილი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 100 ცენტნერისა. პირველმა მათგანმა სახელმწიფოს მიჰყიდა 13.200 ცენტნერი. ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 5.800 ცენტნერისა, მეორემ — 6.500 ცენტნერი ნაცვლად 2.970-ისა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის შემდეგ ჩვენ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პარტიული ორგანიზაციების უყურადღება გავამახვილეთ იმაზე, რომ ყველა ღონისძიებით გაეძლიერონ ადამიანთა დაინტერესება თავიანთი შრომის ნაყოფით.

წელს მეკარტოფილეთა შრომის პროგრესული ანაზღაურება დანერგილია რაიონის თითქმის ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში. კოლმეურნეთა მექანიზებულ რგოლებსა და ჯგუფებზე მიმაგრებულმა ნაკვეთებმა სულ რაიონში 2.000 ჰექტარზე მეტი შეადგინა. ბევრმა მეკარტოფილემ ვალდებულება იკისრა ჰექტარზე მიეღო 250-დან 350 ცენტნერამდე კარტოფილი. შედეგები მოწმობს, რომ ეს ვალდებულებები მათ ღირსეულად შეასრულეს. მაგალითად, სოფელ ნარდევნის კოლმეურნეობაში ა. ნაზლუიანმა ჰექტარზე მიიღო 320 ცენტნერი კარტოფილი, იმავე კოლმეურნეობაში გ. ტამარიანმა—315 ცენტნერი. ასეთი ფაქტები ბევრია.

ჩამოთვლილი ამბავნაგების წარმატებანი მოწმობენ, რომ მატერიალური დაინტერესება მძლავრი ბერკეტია კარტოფილის მოსავლიანობის გადიდების საქმეში.

რაიონმა უკვე გადაჭარბებით შეასრულა სახელმწიფოსათვის კარტოფილის მიყიდვის გეგმა. გეგმით გათვალისწინებული 14.400 ტონისა და ვალდებულებით ნაკისრი 20.000 ტონის ნაცვლად კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა სახელმწიფოს მიჰყიდა 25.200 ტონა კარტოფილი. სახელმწიფოსათვის კარტოფილის ჩაბარება გრძელდება.

ამ გამარჯვების მოპოვება იოლი საქმე როდი იყო. ჩვენ ბევრი სიძნელის გადალახვა მოგვიხდა. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს ქმედითი დახმარება აღმოუჩინა თბილისბოსტანეგაერთიანებამ, რომელმაც 50 მიწღები პუნქტი გახსნა და უზრუნველყო კარტოფილის დამზადება.

რაიონის მეკარტოფილეებმა, რომლებიც ჩაებნენ სოციალისტურ შეჯიბრებაში სკკპ XXIII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXIII ყრილობის აღსანიშნავად, მომავალი ხუთწლედის უკანასკნელი წლის მიჯნები დაიკავეს. ამ დღეებში კარტოფილის აღებასა და დამზადებაზე მათი თავდადებული შრომა შემდგომ წარმატებათა საწინდარია.

ლაპარაკობენ მოწინავენი

კარტოფილის მოსავლის მისაღებად ამინდი არახელსაყრელი იყო. მაგრამ სიბეჯითემ მაინც თავისი გაიტანა. მოსაველელად მოჩენილი ჰექტარი ფართობი ისე დავამუშავე, რომ მიეღო 250 ცენტნერი კარტოფილი და მოსავლიანობის გეგმას 15 ცენტნერით გადავაჭარბე.

ელენე ბაანდლიანი,
სოფელ დარიკოის კოლმეურნეობის წევრი.

ნახევარ ჰექტარზე 80 ცენტნერი კარტოფილი — ასეთი იყო ჩემი ვალდებულება. ყველაფერი გავაკეთე იმისათვის, რომ თავი არ შემრცხვენია. სიტყვაც არ გავტეხე. მოვიყვანე 160 ცენტნერი კარტოფილი, ჰექტარზე გადაყვანით 320 ცენტნერი ნაცვლად 110 ცენტნერისა.

ა. ნარზლუიანი,
სოფელ ნარდევნის სვერდლოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

ფლევანდელი პირველული ამინდის გამო ბევრი შრომა დამჭირდა, რომ სასახელოდ შემესრულებინა პირობა. კიდევაც შევასრულე. ნაცვლად ვალდებულებით საკისრი 150 ცენტნერისა ჰექტარზე მივიღე 320 ცენტნერი კარტოფილი.

გ. თამარიანი,
სოფელ ნარდევნის კოლმეურნეობის წევრი.

კოლმეურნეობის წარმატებანი ჩემი წვლილიც არის. ჰექტარ ნათესს კარგად მოვუვარე და ნაცვლად 110 ცენტნერისა მივიღე 235 ცენტნერი კარტოფილის მოსავალი. ეს ზღვარი რეალია. მომავალ წელს 300 ცენტნერ კარტოფილს მივიღებ.

ა. ადამიანი,
სოფელ კუშჩის კოლმეურნეობის წევრი.

პირველად გამოვიყენე მანქანები კარტოფილის მოსავლის მოყვანის საქმეში. ხელის შრომის გამოუყენებლად დავამუშავე 33 ჰექტარი და ჰექტარზე საშუალოდ 140 ცენტნერი კარტოფილი მივიღე. გეგმას 40 ცენტნერით გადავაჭარბე.

გ. ემიენოვი,
ჯინისის კოლმეურნეობის მექანიზატორი.

მოსავლელად მომცეს 36 ჰექტარი. თესვა, კულტივაცია, მოსავლის აღება და ყველა საჭირო სამუშაოები მანქანით შევასრულე. ხელის შრომა სრულიად არ გამოიყენებია. შედეგი კარგია. ჰექტარზე საშუალოდ მოსავლიანობის გეგმას 20 ცენტნერით გადავაჭარბე.

ფ. კოროლოვი,
ავრანლოს საბჭოთა მეურნეობის მექანიზატორი.

რით მივაღწიეთ?

წელს კარტოფილის მოსავლის მოყვანა ჩვეულებრივ ამინდში მოგვიხდა. ზაფხულში ხშირად გვალვები, ხანდახან კოკისპირული წვიმები იყო. მოსავლის აღების დროს საადრევმა თოვლმა და ყინვებმა შეგვაწუხა, ხელი შეგვიშალა მოყვანილი კარტოფილის მოსავლის აღებასა და დაბინავებაში. მიუხედავად ამ სიძნელეებისა, ჯინისის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა ნამდვილად ვმირულად იმუშავეს.

მეტი კარტოფილისათვის ლაშქრობას ჯერ კიდევ გასული წლის ნოემბრიდან შევდგეთქით. რაც მთავარია, ნიადაგი მზრალად მოეხანთა. დავთესეთ მხოლოდ მაღალხარისხოვანი თესლი. ნათესს არ მოვაკელით მხრუნველი ხელი. კოლმეურნეებმა ბევრი რამ ნახეს ახალი, გაეცნენ კარტოფილის მწარმოებელ კოლმეურნეთა მუშაობის მეთოდებს, ჩასწავლნენ უხვი მოსავლიანობის საიდუმლოებას. ამის შედეგად მიმდინარე სამეურნეო წელს სასახელო მაჩვენებლებით ვამთავრებთ. 180 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მივიღეთ 160 ცენტნერი კარტოფილი. ეს გეგმას 50 ცენტნერით სჭარბობს.

ახლა წალკის რაიონში ყველა უქებს მარჯვენას კომკავშირის კომიტეტის მდივანს ალექსი ბაიაზოვს. იგი ერთ-ერთ რგოლს ხელმძღვანელობს. რგოლის წევრებმა წელს იკისრეს 13,5 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოეყვანათ 150 ცენტნერი კარტოფილი ნაცვლად 110 ცენტნერისა. სიტყვა რომ არ გავეტეხთ ცოტა შრომა როდი გასწიეს. ჰექტარზე საშუალოდ მიღებული 180 ცენტნერი კარტოფილი.

კოლმეურნეობას წელს უნდა ძალიან და სახელმწიფოსათვის მიეყიდა 550 ტონა კარტოფილი. მაგრამ ჯინისელები ამას როდი დასჯერდნენ, სახელმწიფოს უკვე მიეყიდეთ 1.500 ტონა კარტოფილი. ეს ჩვენთვის ნამდვილად სარეკორდო ციფრია.

რით მივაღწიეთ ასეთ გამარჯვებას? ჯერ ერთი, ბეჯითი შრომით, მეორეც, იმით, რომ კოლმეურნეობაში მტკიცედ დავნერგეთ გეგმის გადამეტებით შესრულებისათვის შრომის დამატებითი ანაზღაურების წესი. მაგალითად, კოლმეურნე ილია ემიენოვს კარტოფილის მოსავლიანობის გადიდებისათვის პრემიად მიეცა 3 ტონა კარტოფილი, რაც მთლიანად სახელმწიფოს მიჰყიდა და ფულად 500 მანეთი მიიღო. ასევე დიდი ოდენობით მიიღეს პრემია ხ. შუშანოვმა, ვ. ემინოვმა და სხვებმა.

მოოვებული წარმატებები ზღვარი როდია. მეტი კარტოფილი სამშობლოს — ასეთია ჩვენი გადწყვეტილება.

რ. ხრისტიანოვი,
სოფელ ჯინისის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.



სურათებზე: (მარცხნივ) — ნარდევნის კოლმეურნეობის მოწინავე წევრი ე. ნაზლუიანი, რომელმაც ჰექტარზე საშუალოდ მიიღო 240 ცენტნერი კარტოფილი, ნაცვლად 100 ცენტნერისა; მარჯვნივ — კარტოფილის მექანიზებული აღება ავრანლოს საბჭოთა მეურნეობაში. ფოტო ს. კილაძისა.

მექანიზაციარენტაბელობის გზა

კომპლექსური მექანიზაციის დანერგვას ავრანლოს მეურნეობაში მოკლე ხნის ისტორია აქვს. მეორე წელია, რაც მას იყენებენ. ამ სეზონზული საქმის შესრულება პირველად მე მომიხდა.

წელს კარტოფილის ზოსაყვანად ჩაბარებული მქონდა 24 ჰექტარი მიწა. ნიადაგი ადრე მზრალად მოვხანი. ხვნის წინ საჭირო რაოდენობით შევიტანე მინერალური და ორგანული სასუქები. დავთესე მანქანით, ხელის შრომის გამოუყენებლად. ნათესის დამუშავების დროს გამოვიყენე ტრაქტორი, რომელსაც მივაბი კულტივატორი. ერთი სიტყვით, ყველა სამუშაო მანქანით შეასრულეს.

კარგად მოვლილმა ნათესმა უხვი მოსავალი მოგვცა. ჩვენ გვერდით კარტოფილის ნათესი მთლიანად ხელით დამუშავდა. იქ ჰექტარზე 130 ცენტნერი კარტოფილი მიიღეს. ჩემთვის მოსავლელად ჩაბარებული ფართობის ყოველ ჰექტარზე კი 170 ცენტნერი კარტოფილი მივიღე. ამასთან 24 ჰექტარზე მოსავლის აღებას 12 დღე მოვანდომე. დღეში ვიღებდი 2 ჰექტარს. მოსავალი ხელით რომ აგვეღო, ყოველდღე 2 ჰექტარზე კარტოფილის ასაღებად საჭირო იქნებოდა სულ მცირე 80 მუშა.

ა. ბალაბანოვი,
კომპლექსური მექანიზაციის ბრიგადის ხელმძღვანელი.

თვითღირებულების შემცირებით

ფვიდწლედის დამამთავრებელ წელს წალკელმა მეკარტოფილეებმა რესპუბლიკაში სახელი გაითქვეს. მოიყვანეს კარტოფილის უხვი მოსავალი. რაიონის ამ წარმატებაში გარკვეული წვლილი შეიქნა ავრანლოს მეურნეობის. მეურნეობის შემოსავლის მთავარი წყარო, სამეურნეო-ორგანიზაციული გაძლიერების ძირითადი ფაქტორი კარტოფილია, ეს კარგად ესმის მეურნეობის მთელ კოლექტივს. მათ იციან ამ კულტურის ფასი და თავდადებით შრომობენ მისი მოყვანა-პატრონობის გაუმჯობესებისა და მოსავლიანობის გადიდებისათვის.

წლების მანძილზე შეძენილი გამოცდილებით მეურნეობის მოწინავე მუშები დარწმუნდნენ, რომ კარტოფილს უყვარს ჰუმუსით მდიდარი მსუბუქი ნიადაგი, რომელშიც ძირითადად ხვნის წინ შეგროვილს ორგანული სასუქი. სასუქი შეტანილ იქნა ნიადაგის წინასწარ შესწავლის შემდეგ ჰექტარზე 30 ტონის რაოდენობით. გარდა ამისა, მინერალური სასუქებიდან გამოვიყენეთ აზოტი 100 კილოგრამი და ამავე რაოდენობით კალიუმი.

თესვის დროს წელს პირველად გამოვიყენეთ მექანიზაცია 282 ჰექტარზე. სულ დათესილ იქნა 400 ჰექტარი ნაცვლად 380 ჰექტარისა. მანქანით დათესილ ფართობზე ჩავატარეთ ორმხრივი კულტივაცია. ამ საქმეში კარგად იმუშავეს მექანიზატორებმა ს. კირილოვმა, ა. ბალაბანოვმა და სხვებმა. მათ ისე დამუშავეს კარტოფილის ნათესი, რომ ძირითადი სამუშაოები მთლიანად მანქანებით შესრულდა.

დაიწყო კარტოფილის მოსავლის აღება. მუშები ნინო და სვეტლანა ქალოროვები, სოფიო თოსუნოვა მანქანებით აღებული კარტოფილის დახარისხებასა და დახვიმულებისამებრ გაგზავნას ვერ ასწრებდნენ. თვითეული მანქანა დღეში 2 ჰექტარ მოსავალს აღებდა. უმანქანოდ ამ დავალების შესასრულებლად 80 მუშა იყო საჭირო. მარტო მოსავლის აღების დროს მანქანის გამოყენებით დიდძალი მუშახელის ეკონომია გვქონდა. ამასთან ცენტნერი კარტოფილის თვითღირებულება ხელის შრომასთან შედარებით შეეამცირეთ 3 მანეთით. თვითღირებულების შემცირების გზით უზრუნველყავით აგრეთვე ჰექტარზე საშუალოდ 170 ცენტნერი კარტოფილის მიღება, გვქონდა 110 ცენტნერის მიღებას ითვალისწინებდა.

მეურნეობის დირექციამ, პარტიულმა ორგანიზაციამ ეკისრეს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ორმოცდაშვიდე წლისთავთან დაკავშირებით აგვეღო და სახელმწიფოსათვის მიგვეყიდა 2.050 ტონა კარტოფილი. ეს დავალება ჯერ კიდევ 3 ნოემბრისათვის განადღებული იყო. მაგრამ მიღწეულით როდი დავკმაყოფილდით. გადავუყვიტეთ სახელმწიფოსათვის გეგმის გადამეტებით კიდევ მიგვეცა 400 ტონა კარტოფილი.

მოსავლის აღებასა და დაბინავებასთან ერთად მეურნეობის დირექცია, პარტიული ორგანიზაცია ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ აქედანვე შექმნან ყველა პირობა მომავალ წელს კარტოფილის უხვი მოსავლის მისაღებად. ნიადაგს მზრალად ვხნავთ, ვიმარაგებთ ჯანსაღ სათესლე მასალას და ვინახავთ საიმედო ადგილას.

მ. ანანიკოვი,
ავრანლოს საბჭოთა მეურნეობის დირექტორი.



კარტოფილის უხვი მოსავლით ხარობენ წელს წალკის რაიონის მშრომელები. ამ სურათზე ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა ს. კილაძემ აღბეჭდა სოფელ ჯინისის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მოწინავე მერგოლური ალექსი ბაიაზოვი (მარჯვნივ) და მისი რგოლის ახალგაზრდა წევრები ჯულიეტა პასენოვა (მარცხნივ) და ისაკ ჩახმარჩიევი, რომლებიც ნაცვლად 250 კილოგრამისა დღეში იღებდნენ 500-600 კილოგრამ კარტოფილს.



ორგვერდ გორაკებს ღრმა თოვლი აღევს, სისინებს სუსხიანი ქარი. აქა-იქ კარტოფილის ნათესი თვრა სანაბს დაუფარავს, ნაწილი მოსავალი მიწაში დარჩენილა და ყინვა ემუქრება. ერთი სიტყვით, საადრევად აციდეულა. ასეთ ჭირვეულ ამინდში უხდებათ კარტოფილის მოსავლის აღება წალკელებს. საათიც უნდა გაიხედოთ, ყველგან ჩქარობენ. მინდვრად გამოსულა დიდი და პატარა. ყველა ცდილობს თავისი ალალი წვლილი შეიტანოს მოსავლის დაბინავების საქმეში.

ჯინისის კოლმეურნეობის მინდვრებში ვართ. ენერგიულად შრომობდნენ კოლმეურნეები ფ. ბაიაზოვი, ი. ემინოვი, ხ. შუშანოვი და სხვები. აქვე იყვნენ საშუალო სკოლის მოსწავლეები რ. ალმაზოვი, ე. პასტენოვა, ქ. ალექსანოვა, ზ. ჯანაკეზოვა და სხვები. მეტისმეტად ავი ამინდი იდგა. ისინი მაინც იღებდნენ კარტოფილის მოსავალს.

კოლმეურნეობას, მართალია, სახელმწიფოსათვის კარტოფილის მიყიდვის გეგმა დიდი ხანია შეუსრულებია, ცნობები დაუჯამებიათ და რაიონისათვის უცნობებიათ, მაგრამ მოსავლის აღება კვლავ გრძელდება. ჯერ კიდევ უხვად არის კარტოფილი.

ჯინისიდან ავრანლოს საბჭოთა მეურნეობის ფართობზე ჩადავედით. იქ სახელდახელო თათბირი მოეწყოთ. მეურნეობას ჯერ კიდევ რამდენიმე ათეული ჰექტარი კარტოფილი ჰქონია ასაღები, ნაწილი მოსავალი ყინვას დაუზიანებია. თანაც აღებული კარტოფილის მოსავლის გადმოტანა და სახელმწიფოსათვის მიყიდვა უჭირდათ, ტრანსპორტი არ ჰყოფნიდათ.

თათბირს ატარებდა პარტიის რაიკომის პირველი მდივანი ა. მაკაროვი. ადგილზეევე უნდა მიეღოთ საჭირო ზომები, თორემ ტრანსპორტის მოლოდინში ამინდი მოსავლის დაბინავებას როდი დაიცლიდათ. აქვე იყო თბილისბოსტანეგაერთიანების დირექტორი ა. კვაშალი. მეურნეობის მუშაკებთან ერთად მოითათბირეს. გადაწყდა თბილისბოსტანეგაერთიანების მუშაკებს იმ დღისვე შეეძინათ მეურნეობის კარტოფილი და, ტრანსპორტის მოლოდინში მოსავალი რომ არ გაფუჭებულიყო, მეურნეობის დახმარებით ადგილზევე მოეწყოთ ბურტები, დროებით რამდენიმე თვე ამ ბურტებში შენახულ შეძენილი კარტოფილი.

არ გასულა რამდენიმე წუთი, რომ გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანას შეუდგნენ. მუშებს ა. ჩაკანაევს, ბ. თოსუნოვს უკვე დაეწყოთ ბურტების მოსაწყობად ორმოების ამოთხრა. ზოგს თივა მოეჭრნდა ბურტებში ჩაყრილი კარტოფილის ზედაპირის დასაფარავად. უკვე გამზადდა სამი ბურტი... მანქანის მძღოლები ფ. დორგსოვი და კ. თოდიკოვი კარტოფილის გადმოზიდვას შეუდგნენ. ისინი პირველობისათვის ერთმანეთს ეცილებოდნენ. ბურტებში იყრებოდა კარტოფილი.

მთელ დღეს არ შეწყვეტილა მანქანების ბუბუნი აშკალის, დარაქოის, ქვემო ხარაბას, კუშჩის, ყიზილჭილისის და სხვა სოფლების კოლმეურნეობებში, წალკის, თრიალეთის და სხვა საბჭოთა მეურნეობებში.

ჯაბუკი მექანიზატორი სიმონ ემინოვი მარჯვედ მართავდა ტრაქტორს, რომელსაც მიბმული ჰქონდა კარტოფილსაღები მანქანა. იგი სოფელ ჯინისის კოლმეურნეობაში იღებდა წლევანდელ უხვ მოსავალს.

ტრაქტორისტს სიბარულის ღიმილიც გადაურბინა სახეზე, როცა გაიგო, რომ ერთ დღეს მანქანით აუღია 2 ჰექტარი კარტოფილის მოსავალი, ჰექტარზე საშუალოდ 180 ცენტნერი და 80 მუშის მოვალეობა შეუარულებია.

შრომის ფერხულში არიან ჩაბმული სოფელ აშკალის კოლმეურნეობის მშრომელები, დიდი და პატარა. აქ წელს 226 ჰექტარ კარტოფილის ნათესისათვის მზრუნველი ხელის მიღებასთან ერთად კოლმეურნეობაში საგრძნობლად გაიაზარდა მიღებული პროდუქციის თვითღირებულება. თვითეული ცენტნერი კარტოფილი დაუჯდათ მხოლოდ 5 მანეთი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 11 მანეთისა.

როცა შეადწეოდის მეშვიდე წელი იწყებოდა, სოფელ ნარდევნის სვერდლოვის სახელობის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე ვ. შელტონიანი) იმ ბრიგადის წევრებმა, რომელსაც მ. მელტონიანი ხელმძღვანელობს, იკისრეს ჰექტარზე საშუალოდ მიეღოთ 150 ცენტნერი კარტოფილი ნაცვლად 100 ცენტნერისა. პირობის შესასრულებლად ბრიგადის წევრებმა ა. ნაზლოიანმა, ლ. ნურბეკიანმა, ოგანეზ და ივანე ნაზლოიანებმა ყველაფერი გააკეთეს. კარტოფილის უხვ მოსავალს უდანაკარგოდ იღებდნენ.

მოსავლის აღება დამთავრდა. კოლმეურნეობის საანგარიშო დარგის მუშაკებმა შეაჯამეს თვითეული ბრიგადის და კოლმეურნეობის ტოფილის გადამუშავება რაიონს 100.000 მანეთ შემოსავალს მისცემდა.

რაიონის ცენტრალურ საწყობში (ყოფ. ა. სარიევი) ადგილი აღარ არის. აქ უკვე შეუნახავთ 2.000 ტონა კარტოფილი. ახლად აღებულ მოსავალს კი დედაქალაქში გზავნიან. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს პირველი ავტოსატრანსპორტო ტრესტის მმართველი ნინო ბოგლევმ გ. ფრიდონიძეს გვითხრა: პირველ ხანებში ტრანსპორტის ნაკლებობა იყო, კარტოფილის ასეთ დიდ მოსავალს როდი ველოდით. უკანასკნელ დღეებში მდგომარეობა საგრძნობლად გამოსწორდა. იყო დღეები, როცა ერთ დღეს 500 ავტომანქანა იტვირთებოდა.

მართლაც, დღეში 500 მანქანის დატვირთვა კარტოფილით, ეს ხომ გმირული შრომაა. ეს ბრიგადა ერთ-ერთ ასეთ ბრიგადა. ეს ბრიგადა ავტოსატრანსპორტო კანტორიდან დ. მეკოლიშვილი, მეხანძრეთა ავტოსატრანსპორტო კანტორიდან ბ. ივანიშვილი, ბ. ბალაბანოვი, ბ. ბალაბანოვი, ბ. ბალაბანოვ

საბჭოთა ქვეყნის ძლიერების დემონსტრაცია

უცხოეთის პრესა მშრომელთა სამხედრო პარადისა და დემონსტრაციის შესახებ წითელ მოედანზე

პრაღა. „საბჭოთა ქვეყნის ძლიერების დემონსტრაცია“, „საბჭოთა არმია საყოველთაო მშვიდობის სამიდეო გარანტია არის“, „უველაზე თანამედროვე იარაღი მშვიდობის სადარაჯოზე“, „ძალისა და ბრძოლისუნარიანობის დაფასებლიერება“ — ამ სათაურებით ბეჭდავენ ჩეხოსლოვაკიის ცენტრალური გაზეთები დაწვრილებითს ანგარიშებსა და რეპორტაჟებს სადღესასწაულო სამხედრო პარადის შესახებ წითელ მოედანზე მოსკოვში და მშრომელთა დემონსტრაციის შესახებ, რომლებიც დიდი ოქტომბრის 48-ე წლისთავს მიეძღვნა. ყველა გაზეთის მოპყავს სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის მარშალ რ. ი. მალინოვსკის სიტყვის შინაარსი, ამასთან ხაზს უსვამენ, რომ კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა თავიდან აიცილონ ახალი მსოფლიო ომი და უზრუნველყონ მტკიცე მშვიდობა დედამიწაზე.

ბელგრადი. „ბორბა“, „პოლიტიკა“ და სხვა გაზეთები დიდი სათაურებით თავსებენ ინფორმაციას დიდი ოქტომბრის 48-ე წლისთავისადმი მიძღვნილი ზეიმის შესახებ მოსკოვში. მოპყავთ რა მარშალ რ. ი. მალინოვსკის სიტყვა წითელ მოედანზე, გაზეთები განსაკუთრებით უსვამენ ხაზს მის იმ ნაწილს, სადაც ნათქვამია, რომ საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკური კურსი მიზნად ისახავს სოციალისტური თანამეგობრობის შეკავშირებას, ურთიერთობის უოველმხრივ განვითარებას ახალგაზრდა ეროვნულ სახელმწიფოებთან ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მხარდაჭერას.

ნიუ-იორკი. ნიუ-იორკის გაზეთები თვალსაჩინო ადგილას ათავსებენ მოსკოვში წითელ მოედანზე გაბრწყინებული სამხედრო პარადის ფოტოსურათებს. „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნი“ თავისი პირველი გვერდის მეოთხედს უთმობს ფოტოსურათებს, რომლებიც გვიხატავენ ახალ საბჭოთა რაკეტებს. ერთ-ერთ წარწერაში ნათქვამია: „უზარმაზარი რაკეტები, რომლებსაც შეუძლიათ ატომური იარაღი გაიყვანონ კოსმოსში, სიგრძით 115 ფუტია“.

დასავლეთის სამხედრო სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ რუსეთის ატომური არსენალის ეს დამატება მეტად საგულისხმოა, გვიჩვენებს შემდგომ წარმატებებს კონსტრუქციასა და მობილობაში, რადგან ადიდებს უზარმაზარ სიმძლავრეს, რომელიც დიდი ხანია ცხადყო საბჭოთა რაკეტულმა ტექნიკამ“.

ლონდონი. ყველა გაზეთი იუწყება, რომ მოსკოვში წითელ მოედანზე გაბრწყინებულ სამხედრო პარადი და მშრომელთა დემონსტრაცია დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 48-ე წლისთავის გამო. გაზეთების ყველაზე დიდი ინტერესი გამოიწვია ახალი საბჭოთა რაკეტის ფოტოსურათმა. გაზეთი „დეილი მირორი“ წერს, რომ, „დასავლეთის სპეციალისტთა აზრით, დიდი მობილობის გამო ამ რაკეტის მიგნება დედამიწაზე პრაქტიკულად შეუძლებელია“.

პარიზი. ყველა გაზეთი პირველ გვერდზე ათავსებს ფოტოსურათებს სამხედრო პარადის შესახებ წითელ მოედანზე.

„რუსებმა გვიჩვენეს თავიანთი იარაღი, რომელსაც საზღვარი არა აქვს“, აცხადებს გაზეთი „ვენ-კატრ ერი“, „გიგანტური ორბიტული რაკეტები, რაც მთავარი იყო წითელ მოედანზე ოქტომბრის რევოლუციის 48-ე წლისთავის აღსანიშნავად გამართულ სამხედრო პარადის დროს, — აღნიშნავს სათაურში „ორორი“. „რევოლუციის 48-ე წლისთავის აღსანიშნავად სსრ კავშირმა პირველად გვიჩვენა თავისი კოსმოსური იარაღი“,— წერს „კომბა“.

ბონი. ოქტომბრის 48-ე წლისთავის დღესასწაული მოსკოვში დასავლეთ გერმანიის მეტი წილი გაზეთების თავაგრი თემაა. პრესა დაწვრილებით აღწერს სამხედრო პარადს წითელ მოედანზე. „რუსებს აქვთ „რაკეტა-თანამგზავრი“,—წერს გაზეთი „დი ველტი“, რომელიც შეიძლება მუდამ იყოს ორბიტაზე დედამიწის გარშემო და ღილაკზე მარტოოდენ ხელის დაჭერით შეიძლება მიმართონ ყოველი სამიზნესაკენ“.

„მოსკოვი გვიჩვენებს ყველაზე თანამედროვე რაკეტებს“, — ნათქვამია დიდ სათაურში გაზეთ „რაინიშე პოსტის“ პირველი გვერდის ცენტრში. „პარადის სენსაციად“ მიაჩნია გაზეთს „მოქმედების საშუალო რადიუსის რაკეტები, რომლებიც აქამდე არ უჩვენებიათ, აგრეთვე გიგანტური საკონტინენტთაშორისო რაკეტა“.

გაზეთი „ფრანფურტერ ალგემაინე“ აცხადებს, რომ უცხოეთის სამხედრო მეთვალყურეებმა დათვალეს სულ 32 სხვადასხვა რაკეტა, მათ შორის სტრატეგიული მიზნებისათვის განკუთვნილი ხუთი რაკეტა.

საბჭოთა კავშირ-ინდოეთის მეგობრობის საღამო

დელი, 10 ნოემბერი. (საკდესი). „რუსეთის დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია უდიდესი მოვლენაა კაცობრიობის განვითარების ისტორიაში“,—თქვა ინდოეთ-საბჭოთა კავშირის კულტურული ურთიერთობის განვითარების საზოგადოების თავმჯდომარემ კ. ა. შ. მენონმა, რომელმაც გუშინ სიტყვა წარმოთქვა დელიში ინდოეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საღამოზე, რომელიც საზოგადოებამ გამართა დიდი ოქტომბრის 48-ე წლისთავის გამო.

უკვე თვით ფაქტი საბჭოთა კავშირის ორსებობისა, ხაზი გაუსვა მან, შთაგონების წყაროა ინდოელი ხალხისათვის და სხვა ქვეყნების ხალხებისათვის. ინდოეთის ხალხი საბჭოთა კავშირის ხალხებთან ერთად აღნიშნავს ამ ღირსშესანიშნავ თარიღს.

„ჩვენმა ვიზიტმა ამ დიად ქვეყანაში, — თქვა ხ. ხ. სიანმ, რომელიც ამას წინათ საბჭოთა კავშირში იყო როგორც ინდოეთის შტატების პარლამენტართა დელეგაციის მეთაური, — საშუალება მოგვცა გაეცნობოდით საბჭოთა კავშირის უდიდეს მიღწევებს და დაკვირდებოდ ლეონაკით, რომ საბჭოთა ხალხი და საბჭოთა ხელმძღვანელები მეგობრობის უაღრესად გულწრფელი გრძნობებით არიან გამსჭვალულნი ინდოელი ხალხისადმი“.

საღამოზე სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის ელჩმა ინდოეთში ი. ა. ბენედიქტოვმა.

საღამოს დამსწრეთა შორის იყვნენ სახალხო პალატის თავმჯდომარე ჰუკამ სინგჰი, ინდოეთის პარლამენტის ორივე პალატის წევრები, დედაქალაქის საზოგადოებრივობის წარმომადგენელნი, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი.

ᲐᲦᲓᲒᲔᲜᲘᲚ ᲘᲥᲜᲐᲡ ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲔᲠᲘ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XX სესია

ნიუ-იორკი, 9 ნოემბერი. (საკდესი). დღის პლენარულ სხდომაზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეა შეუდგა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კანონიერ უფლებათა აღდგენის საკითხის განხილვას, რომელიც შეტანილია გენერალური ასამბლეის XX სესიის დღის წესრიგში.

გამოვიდა რა სხდომაზე სსრ კავშირის წარმომადგენელმა ნ. ტ. ფედორენკომ აღნიშნა, რომ თუ დღემდე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის უფლებებს უგულებელყოფენ და ამ სახელმწიფოს არ უკავია თავისი კუთვნილი კანონიერი ადგილი გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და მის ორგანოებში, ასეთი მდგომარეობა ზიანს აყენებს თვით გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებისა და ხალხთა უშიშროების განმტკიცების საქმეს. ნ. ტ. ფედორენკომ ხაზი გაუსვა, რომ რაც უფრო მალე გაიმარჯვებს ისტორიული სამართლიანობა — აღდგენილ იქნება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის უფლებები გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, აგრეთვე ამ ორგანიზაციიდან განიდევნებიან გაკოტრებული ჩანკაიშელთა ხოვის წარმომადგენელნი, — მით უკეთესი იქნება თვით ორგანიზაციისათვის, საერთაშორისო მშვიდობის საქმისათვის.

საბჭოთა წარმომადგენელმა დელეგატების ყურადღება მიაპყრო იმას, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დამფუძნებელ ოთხ სახელმწიფოდან, რომლებიც უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრები არიან, სამი ქვეყანა, სახელდობრ: სსრ კავშირი, საფრანგეთი და დიდი ბრიტანეთი მხარს უჭერენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის უფლებათა აღდგენას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

საბჭოთა კავშირი, თქვა მან დასასრულ, დაჟარით მოითხოვს დაუყოვნებლივ აღდგენილ იქნეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის უფლებები გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

ფ. რიგელმა (ჩეხოსლოვაკია) თავის გამოსვლაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ხელმძღვანელობენ ისეთი მოსაზრებებით, რომლებსაც საერთო არა აქვთ რა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების პრინციპებთან, და ცდილობენ კვლავაც უარყოფ ის აშკარა ფაქტი, რომ დიდი სახელმწიფო — ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა წარმოდგენილი არ არის გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, ძირს უთხრიან მის პრესტიჟს, ამხელენ ბევრი დიდმნიშვნელოვანი საერთაშორისო პრობლემის, მათ შორის ისეთი პრობლემების გადაჭრას, როგორიც არის საყოველთაო და სრული განიარაღება, მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფა მთელ მსოფლიოში, განსაკუთრებით სამხრეთ აღმოსავლეთ აზიაში.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კანონიერ უფლებათა აღდგენას დილის სხდომაზე მხარი დაუჭირეს აგრეთვე მალისა და სომალის წარმომადგენლებმა.

კორესპონდენტები ი. ლაპიცი და ს. ლოსევი იტყობინებიან:

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის დილის პლენარულ სხდომაზე კვლავ იხილეს საკითხს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კანონიერ უფლებათა აღდგენის შესახებ. ბევრმა დელეგატმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ აღმაფოთებელი უსამართლობაა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ორგანოებში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ნაცვლად უკანონოდ სხედან ჩანკაიშელები, რომლებიც არავის წარმომადგენლები არ არიან. ალჟირის წარმომადგენელმა ბუატურამ აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები და ზოგიერთი მათი მომხრე სახელმწიფო უარს აცხადებენ ცნონ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კანონიერი უფლებანი, რითაც დიდ ზიანს აყენებენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციას.

ფ. რიგელმა (ჩეხოსლოვაკია) თავის გამოსვლაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ხელმძღვანელობენ ისეთი მოსაზრებებით, რომლებსაც საერთო არა აქვთ რა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების პრინციპებთან, და ცდილობენ კვლავაც უარყოფ ის აშკარა ფაქტი, რომ დიდი სახელმწიფო — ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა წარმოდგენილი არ არის გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, ძირს უთხრიან მის პრესტიჟს, ამხელენ ბევრი დიდმნიშვნელოვანი საერთაშორისო პრობლემის, მათ შორის ისეთი პრობლემების გადაჭრას, როგორიც არის საყოველთაო და სრული განიარაღება, მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფა მთელ მსოფლიოში, განსაკუთრებით სამხრეთ აღმოსავლეთ აზიაში.

თვითდაწვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შტაბის წინ

ნიუ-იორკი, 9 ნოემბერი. (საკდესი). 22 წლის კათოლიკე პაციფისტმა როჯერ ლაპორტმა დღეს ადრე დილით თავი დაიწვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შენობის წინ. პოლიციელთა სიტყვით, რომლებმაც ლაპორტი საავადმყოფოში მიიყვანეს, ჭაბუკმა განაცხადა, რომ თავი დაიწვა „ომების წინააღმდეგ“ პროტესტის ნიშნად.

როგორც იუწყებიან, ლაპორტის ჯანმრთელობის მდგომარეობა კრიზისულია.

ლაპორტი „კათოლიკე მუშათა ორგანიზაციის“ წევრია. ეს ორგანიზაცია აქტიურად მონაწილეობს ვიეტნამის მიმართ ამერიკის აგრესიის წინააღმდეგ მოძრაობაში.

უკანასკნელი რამდენიმე დღის მანძილზე ეს უკვე თვითდაწვის მეორე შემთხვევაა ამერიკის შეერთებულ შტატებში.

2 ნოემბერს ვაშინგტონში პენტაგონის შენობის წინ პაციფისტმა კაკკერმა ნორმან მორისონმა თავი დაიწვა ვიეტნამის ომის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად.

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲔᲚᲩᲘᲡ ᲒᲘᲜᲓᲣᲠᲘ ᲠᲝᲚᲘ

ნიუ-იორკი, 9 ნოემბერი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწემ კორლის ლამონტმა მოუწოდა თავის ყოფილ ამხანაგს ჰენრი კებოტ ლოჯს, რომელთანაც ერთად სწავლობდა ჰარვარდის უნივერსიტეტში, გადადგეს შეერთებული შტატების სამხრეთვიეტნამელი ელჩის პოსტიდან და გაიღაშქროს იმ პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელსაც შეერთებული შტატები ახორციელებენ ამ ქვეყანაში. ამას იუწყება იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის სააგენტო.

„გულახდილად მიიხარი კებოტ, როგორ შეგიძლია მშვიდად ყიმინოს, როცა სანქციას აძლევ ამერიკის ბომბდამშენებს მასობრივად ქლიტონ ქალები, ბავშვები, გლეხები და საერთოდ სამოქალაქო მოსახლეობა მთელ ვიეტნამში?“ — წერს ლამონტი ღია წერილში ლოჯს, რომელთანაც ერთად სწავლობდა 1924 წელს.

„შენ იმათ რიცხვში ხარ, ვისაც პასუხისმგებლობა ეკისრება არა მარტო ათეულ ათასობით ვიეტნამელის დახოცვისათვის, არამედ ათასზე მეტი ამერიკელი ჯარისკაცის დახოცვისათვისაც, რომლებმაც თავი შესწირეს ამ უაზრო ომს 10 ათას მილზე ჩვენი წყნარი ოკეანის სანაპიროდან, ომს, რომელიც არავის არ სჭირდება“, — წერს ლამონტი.

სპილოს ძვლის ნაპირის პრეზიდენტად კვლავ აირჩიეს უფუე-ბუანიი

ლომე, 9 ნოემბერი. (საკდესი). ფელიქს უფუე-ბუანიი კვლავ აირჩიეს სპილოს ძვლის ნაპირის რესპუბლიკის პრეზიდენტად. არჩევნების შედეგად, რომელიც 7 ნოემბერს გაიმართა, იგი ამ პოსტს დაიკავებს კიდევ ხუთი წლის განმავლობაში. აბ იჯანის რადიოს ცნობებით, უფუე-ბუანიის კანდიდატურამ, რომელიც ერთადერთი იყო, შეიღო ხმების 95 პროცენტზე მეტი.

ᲘᲜᲓᲝᲔᲗ-ᲞᲐᲙᲘᲡᲢᲐᲜᲘᲡ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲐ

ყარაჩი, 9 ნოემბერი. (საკდესი). დღეს პაკისტანის ოფიციალურ განცხადებაში ნათქვამია, რომ ინდოეთმა კვლავ დაარღვია ჯაშმირსა და დასავლეთ პაკისტანში ცეცხლის შეწყვეტის პირობები.

7 და 8 ნოემბერს, აღნიშნულია განცხადებაში, ინდოეთის ჯარები ცეცხლს უშენდნენ პაკისტანის პოზიციებს ბედიანისა და ფაზილკის (დასავლეთ პაკისტანი) სექტორებში. პაკისტანის ქვეგანაყოფებმა ცეცხლი ოვე უასუხეს. დახოცილია ორი ინდოელი.

8 ნოემბერს პაკისტანის დედაქალაქის — რავალპინდის ხელისუფლებმა აკრძალეს ნეონის სინათლისა და ფარების გამოყენება 22 საათის შემდეგ. ეს აკრძალვა შემოიღეს, ნათქვამია განცხადებაში, რათა საჰაერო თავდასხმის დროს დაუყოვნებლივ გამორთონ მთელი განათება.

დელი, 9 ნოემბერი. (საკდესი). დღეს ინდოეთის ოფიციალურმა წარმომადგენელმა განაცხადა, რომ უკანასკნელ 48 საათში პაკისტანელებმა 21-ჯერ დაარღვიეს ცეცხლის შეწყვეტის პირობები. ოფიციალურ განცხადებაში ნათქვამია, რომ 7 და 8 ნოემბერს პაკისტანის ჯარებმა ნაღმსატყორცნისა და ტყვიამფრქვევის ცეცხლი დაუშინეს ინდოელებს და 13-ჯერ დაარღვიეს ცეცხლის შეწყვეტის პირობები ლაპორის სექტორში, 8-ჯერ ჯაშმირის სექტორში.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ პაკისტანის ქვეგანაყოფები ცდილობდნენ წინ წაწეულიყვნენ ფზილორის მახლობელ რაიონში (სიალკოტის სექტორი).

ᲕᲔᲜᲔᲡᲣᲔᲚᲐ ᲐᲠ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲐᲡ

კარაკასი, 10 ნოემბერი. (საკდესი). ვენესუელის მთავრობამ ოფიციალურად გამოაცხადა, რომ არ მიიღებს მონაწილეობას ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების კონფერენციაში, ეს კონფერენცია უნდა გაიხსნას 17 ნოემბერს რიო-დე-ჟანეიროში. მისი ძირითადი მიზანია შეიმუშაოს „ძირგამომთხრელი საქმიანობის“ წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებანი.

ვენესუელის მთავრობის განცხადებაში, რომელიც წაიკითხა პრეზიდენტმა რაულ ლეონიმ, ხაზგასმულია, რომ „ამჟამად საერთო მდგომარეობა ლათინურ ამერიკაში ხელსაყრელი არ არის საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრისათვის“, განცხადება წაკითხულ იქნა საგარეო საქმეთა მინისტრთან, ვენესუელის ვაშინგტონელ ელჩთან, სხვა ოფიციალურ პირებთან პრეზიდენტის კონსულტაციების შემდეგ.

ეროვნული კონგრესის დეპუტატები, ამ ქვეყნის სხვადასხვა პოლიტიკური და პროფკავშირული ორგანიზაცია არაერთგზის მოითხოვდნენ, რომ ვენესუელამ არ მიიღოს მონაწილეობა მომავალ კონფერენციაში.

რასისტები თვითნებობენ

ლონდონი, 10 ნოემბერი. (საკდესი). სამხრეთ როდეზიის მთავრობის კაბინეტმა, რომელიც გუშინ გვიან საღამოს შეიკრიბა, თავის უკანასკნელი ორი დღის განმავლობაში მეოთხე სხდომაზე, მიიღო გადაწყვეტილება მოიწვიოს პარლამენტი. როგორც რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი სოლსბერიდან იუწყება, პარლამენტის სესია გაიხსნება 25 ნოემბერს.

სამხრეთ როდეზიის მთავრობასთან ახლო მდგომ წრეებში მიაჩნიათ, რომ სამხრეთ როდეზიის მთავრობის ეს ნაბიჯი ახალი დადასტურებაა სოლსბერიელი რასისტების განზრახვისა გამოაცხადონ სამხრეთ როდეზიის „დამოუკიდებლობა“. სამხრეთ როდეზიის პარლამენტში ადგილების დიდი უმრავლესობა იკუთვნის როდეზიის ფრონტის პარტიას, რომელიც თეთრკანიანი უმცირესობის ინტერესებს გამოხატავს და მხარს უჭერს პრემიერ-მინისტრ იან სმიტის ექსტრემისტულ პოლიტიკას.

30 მილიონი ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲘ ᲣᲨᲣᲥᲝᲓ

ნიუ-იორკი, 9 ნოემბერი. საკდესის კორესპონდენტები ლ. ველიჩანსკი და ს. ლოსევი ტელეფონით იუწყებიან:

17 საათსა და 30 წუთზე ადგილობრივი დროით (10 ნოემბერს 01 საათსა და 30 წუთზე მოსკოვის დროით) ნიუ-იორკი, ბოსტონი და ამერიკის შეერთებული შტატების აღმოსავლეთ სანაპიროს ბევრი სხვა ქალაქი, ტორონტოცი (კანადაში) წყვდიადმა მოიცვა. მწყობრიდან გამოვიდა ენერგომომარაგების სისტემა. 30 მილიონზე მეტი ამერიკელი უელექტროენერგიოდ და უშუქოდ დარჩა. ათიათასობით ამერიკელი, რომლებიც სამუშაოდან შინ ბრუნდებოდნენ, დარჩნენ მეტროს გვირაბებში, ელექტრომატარებლებში, ლიფტებში. ელექტრონენერგიის უქონლობის გამო შეწყდა რადიო-სატელევიზიო კავშირი. ჩაქრა ტელევიზორთა ეკრანები. მხოლოდ ტრანზისტორული მიმღებებით შეიძლება ახალი ამბების გაგება. ნიუ-იორკის რადიოსადგურთა დიქტორები ტელეფონით გადასცემენ რადიოამბებს ნიუ-ჯერსის რადიოსადგურის საშუალებით. მაგრამ ახალი ამბები ჯერ-ჯერობით ბუნდოვანია. ალაგ-ალაგ სიბნელეში დაიწყო ძარცვა. მაგრამ, უკანასკნელი ცნობების მიხედვით, იგი აღკვეთეს. რადიოსადგურები ყოველ წუთს მოუწოდებენ მოსახლეობას არ მიეცეს პანიკას. ნიუ-იორკის ქუჩებში სიწყნარეა. თუ არის პანიკის ნიშნები, მოსახლეობას ეს არ ახასიათებს. პენტაგონმა გამოაცხადა, რომ ელექტროენერგიის მიწოდების შეწყვეტას არ შეუსუსტებია ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვისუნარიანობა.

ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲘᲡ ᲯᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲐᲚᲘ

კაირო, 10 ნოემბერი. (საკდესი). ოქტომბერში ბრძოლების შედეგად დაიხოცა 7 ინგლისელი ოფიცერი და 80 ჯარისკაცი, დაიჭრა 8 ოფიცერი და 96 ჯარისკაცი განაცხადა დღეს ეგარაბეთის ნახევარკუნძულის სამხრეთის ეროვნული განთავისუფლების ფრონტის წარმომადგენელმა.

ინგლისის ჯარები, თქვა ფრონტის წარმომადგენელმა მასობრივად ასატომრებენ და ჩხრეკენ ადგილობრივ მოსახლეობას. კოლონიზატორთა სახტიკი რეპრესიების მიუხედავად, ხაზგასმით აღნიშნა მან, სამხრეთ არაბეთის ხალხის ბრძოლა თავისუფლებისათვის გაგრძელდება სრულ გამარჯვებამდე.

ᲓᲐᲘᲨᲐᲚᲐ ᲙᲝᲛᲔᲢᲐ ᲘᲐᲪᲘᲐ-ᲡᲔᲙᲘ

ნიუ-იორკი, 9 ნოემბერი. (საკდესი). როგორც იუწყებიან პრეს ინტერნეიშნლის საააგენტო იუწყება, გუშინ სმიტსონის ინსტიტუტმა (ქ. ვაშინგტონი) განაცხადა, რომ სამ ნაწილად დაიშალა კომეტა იკეია-სეკი. საააგენტოს ცნობით, ასტრონომებს ჯერჯერობით არ შეუძლიათ იწინასწარმეტყველონ კომეტა იკეია-სეკის ბედი, მაგრამ ამბობენ, რომ კვლავ შეიძლება კომეტის დაკვირვება.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠ-ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲘᲡ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲦᲐᲛᲝ

დელი, 10 ნოემბერი. (საკდესი). „რუსეთის დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია უდიდესი მოვლენაა კაცობრიობის განვითარების ისტორიაში“,—თქვა ინდოეთ-საბჭოთა კავშირის კულტურული ურთიერთობის განვითარების საზოგადოების თავმჯდომარემ კ. ა. შ. მენონმა, რომელმაც გუშინ სიტყვა წარმოთქვა დელიში ინდოეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საღამოზე, რომელიც საზოგადოებამ გამართა დიდი ოქტომბრის 48-ე წლისთავის გამო.

„ჩვენმა ვიზიტმა ამ დიად ქვეყანაში, — თქვა ხ. ხ. სიანმ, რომელიც ამას წინათ საბჭოთა კავშირში იყო როგორც ინდოეთის შტატების პარლამენტართა დელეგაციის მეთაური, — საშუალება მოგვცა გაეცნობოდით საბჭოთა კავშირის უდიდეს მიღწევებს და დაკვირდებოდ ლეონაკით, რომ საბჭოთა ხალხი და საბჭოთა ხელმძღვანელები მეგობრობის უაღრესად გულწრფელი გრძნობებით არიან გამსჭვალულნი ინდოელი ხალხისადმი“.

საღამოზე სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის ელჩმა ინდოეთში ი. ა. ბენედიქტოვმა.

საღამოს დამსწრეთა შორის იყვნენ სახალხო პალატის თავმჯდომარე ჰუკამ სინგჰი, ინდოეთის პარლამენტის ორივე პალატის წევრები, დედაქალაქის საზოგადოებრივობის წარმომადგენელნი, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი.

სამხრეთი როდეზია. სოლსბერის ქუჩაში პოლიციელთა პატრული მიდის და თან ძაღლები მიპყავს. ყოველ წუთს შეუძლიათ მიუსიონ ძაღლები აფრიკელებს, რომლებიც მოითხოვენ მოქალაქე ობრივ უფლებებს და აცხადებენ პრინციპს — „ერთი ადამიანი — ერთი ხმა“.

ფოტო იუპი-საკდესისა.

ᲞᲘᲜᲐᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲛᲘᲢᲘᲜᲒᲘ ᲞᲐᲠᲘᲖᲨᲘ

პარიზი, 10 ნოემბერი. (საკდესი). საფრანგეთის დემოკრატიულ წრეებში გაიშალა პრეზიდენტის მომავალ არჩევნებში შემარცხენე ძალების ერთიანი კანდიდატის ფრანსუა მიტერანისათვის მხარდაჭერის კამპანია. გუშინ საღამოს მასობრივ მიტინგზე პარიზში სიტყვა წარმოთქვა საფრანგეთის კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა ვალდეკ როშემ. მან განაცხადა, რომ „რესპუბლიკელები, რომლებიც საფრანგეთის მომავლისათვის ზრუნავენ, მოვალენი არიან გაერთიანდნენ, რათა მოამზადონ ახალი დემოკრატიული რეჟიმის დამყარება, რომელიც საშუალებას მოგვცემს უზრუნველყოთ ნამდვილი სტაბილობა... ჩვენ, კომუნისტები, ვემხრობით მთავრობის სტაბილობას, მაგრამ ვესწრაფვით დემოკრატიის გაფურჩქვნის პირობებში და სოციალური პროგრესისა და მშვიდობის პოლიტიკის განხორციელებისათვის, რაც შეესაბამება ხალხის მისწრაფებებს“. ვალდეკ როშემ გაიხსენა პრეზიდენტ დე გოლის ამასწინანდელი გამოსვლა რადიოთი და ტელევიზიით და ხაზი გაუსვა. „ჩვენ გვსურს ძლიერი და სტაბილური მთავრობა, რომელსაც შეუძლია მართოს და ამავე დროს პასუხი აგოს ნამდვილი პარლამენტის წინაშე იმის ნაცვლად, რომ დამოკიდებული იყოს ერთ კაცზე, როგორც ამჟამად“. საფრანგეთის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა აღნიშნა, რომ საჭიროა ყველა დემოკრატიული პარტიისა და ორგანიზაციის მჭიდროდ შეკავშირება საერთო პროგრამის გარშემო და დასასრულ განაცხადა: „ბოლო რომ მოვუღოთ თვითნებობას, თავიდან ავიცილოთ ქაოსი და მოვამზადოთ დეგოლიზმის დემოკრატიული ცვლა, ჩვენ მოვუწოდებთ ყველა მშრომელსა და ყველა რესპუბლიკელს ხმა მისცეს ფრანსუა მიტერანს“.

თვით ფრანსუა მიტერანი ეამოვიდა გუშინ მიტინგზე სტრასბურგში და ხაზგასმით აღნიშნა, რომ მთავარია დემოკრატიული პარტიების კავშირი და აბსოლუტური ერთგულება საერთო მიზნებისადმი. სწორედ ეს არის კვეყნის სტაბილობისა და პოლიტიკაში ხალხის მონაწილეობის პირობა.

პრეზიდენტის არჩევნებში კანდიდატთა დასახვების პირობების მიხედვით მათი ოფიციალური რეგისტრაციისათვის თითოეულ პრეტენდენტს მხარი უნდა დაუჭიროს სულ ცოტა ასმა მერმა, პარლამენტარმა, გენერალურმა ან მუნიციპალურმა მრჩეველმა. ახლა უკვე ორი ათასზე მეტმა არჩევითმა პირმა განაცხადა, რომ მზად არის მხარი დაუჭიროს მემარცხენე ძალების კანდიდატს. რესპუბლიკელ მუნიციპალურ და გენერალურ მრჩეველთა ეროვნული ფედერაციის აღმასრულებელმა კომისიამ დღეს გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც „ამაყოფილებით ეგებება ფრანსუა მიტერანის კანდიდატურას. ერთადერთ ქმედითს კანდიდატურას, რომელიც უპირისპირდება გენერალ დე გოლს“, და მოუწოდებს 5 დეკემბერს ხმა მისცენ მემარცხენე ძალების კანდიდატს.

ᲔᲥᲔᲒᲔᲜ ᲙᲠᲘᲖᲘᲡᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲕᲐᲚᲡ

პარიზი, 10 ნოემბერი. (საკდესი). როგორც ცნობილი გახდა, საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა კუე დე მიურვილმა მიიღო იტალიის ელჩი საფრანგეთში დ. ფორნარი. მინისტრის საუბარი ელჩთან შეეხებოდა იტალიის ფინანსთა მინისტრის ე. კოლომბოს წერილს, რომელიც ამა წლის 23 ოქტომბერს გაუგზავნა მან საფრანგეთის მთავრობას. წინა დღით, 22 ოქტომბერს, გამართულ ევროპის ეკონომიური გაერთიანების — „საერთო ბაზრის“ მინისტრთა საბჭოს სხდომაზე (საფრანგეთის წარმომადგენელის მონაწილეობის მიუღებლად) კოლომბოს დაევალა კონტაქტი დაემყარებინა საფრანგეთის მთავრობასთან, გაეცნო მისთვის „ხუთეულის“ წინადადებანი და გაემართა დიალოგი, რათა გამოერკვია თუ რა საშუალებით შეიძლება მოწესრიგდეს კრიზისი, რომელიც უკვე ოთხ თვეზე მეტია გასაქანს არ აძლევს „საერთო ბაზრის“.

ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲘᲡ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲡᲔᲡᲘᲐ

ლონდონი, 9 ნოემბერი. (საკდესი). დღეს საზეიმო ვითარებაში გაიხსნა ინგლისის პარლამენტის ახალი სესია. დედოფალმა ელისაბედ II-მ წარმოთქვა სეფე სიტყვა, რომელშიც ჩამოაყალიბა ინგლისის მთავრობის საქმიანობის პროგრამა.

სეფე სიტყვაში ნათქვამია, რომ ინგლისის მთავრობა კვლავაც ეცდება გამოახოს მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცების გზები, ყოველ ღონეს იხმარს, რომ დაიდოს ხელშეკრულება ატომური იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ, აგრეთვე მიღწეულ იქნეს შეთანხმება კიეტნამში და სტანბილობა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში.

ამავე დროს სიტყვაში ხაზგასმულია, რომ ინგლისის მთავრობა კვლავაც ეცდება შეიქმნას „მოკავშირეთა ატომური რეპერტუარის ორგანიზაციაო“. იგი აგრეთვე ეცდება „ევროპის უფრო მტკიცე ერთობას, ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის გაძლიერებას, ევროპის ეკონომიურ გაერთიანებასთან თანამშრომლობის განმტკიცებასა და ევროპის უფრო ფართო ბაზრის შექმნას“.

დედოფალმა შემდეგ განაცხადა, რომ ინგლისის მთავრობა კვლავ ეცდება მოლაპარაკების გზით გადაჭრას სამხრეთ როდეზიის პრობლემა სამხრეთ

ახალი ამბები • ცნობები • ფაქტები • ქრონიკა

სტუმრად თბილისელ კოლეგებთან

თბილისში საელმწიფო უნივერსიტეტის მოწვევით, რამდენიმე დღეს იმყოფებოდა ისტორიკოსი მიჰაილ ბერზა.

მიჰაილ ბერზა არის ბუქარესტის უნივერსიტეტის პროფესორი და მსოფლიო ისტორიის კათედრის გამგე. ეს კათედრა ისტორიის ფაკულტეტზე ყველას აღემატება თავისი სიდიდით.

ამავე დროს ბერზა რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ისტორიის საკვლევი ინსტიტუტის დირექტორია.

მიჰაილ ბერზა აქ ჩამოსვლით მიზნად ისახავდა პირადი კონტაქტი დაემყარებინა ჩვენი უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებთან, გასცნობოდა ისტორიკოსთა ახალი კადრების მომზადების საქმეს, რესპუბლიკის სამეცნიერო მუშაობას და ქართული მატერიალური კულტურის მდიდარ ძეგლებს.

ჩამოსულმა მკვლევარმა პირადად გაიცნო ქართველი მეცნიერები — აკადემიკოსი შ. ამირანაშვილი, პროფესორები ს. ყაუხჩიშვილი, შ. მესხია, გ. ფორდანია, დ. გვრიტიშვილი, აკ. სურგულაძე, დოცენტები: ალ. ჯავახიშვილი, გ. ფუთურიძე, ო. გიგინეიშვილი, ვ. მაჭარაძე და სხვები, რომლებთანაც გულთბილი საუბრები ჰქონდა.

მიჰაილ ბერზამ დაათვალიერა თბილისისა. თუ მისი მიდამოების სიძველეები და საფუძვლიანად გაიცნო ის მდიდარი მასალა, რომელიც დაცულია საქართველოს ს. ჯანაშიას სახელობის ისტორიისა და ქართული ხელოვნების ისტორიის მუზეუმებში.

განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია მისმა მოხსენებამ, სადაც გაშუქებული იყო რუმინელი ხალხის ეროვნული თვითშეგნების ფორმირების პროცესი დაწყებული XV საუკუნიდან. მკვლევარი თავისი მსჯელობის დროს განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებდა ხალხთა მასებისა და XXIII-XIX ს.ს. პერიოდში მათი რევოლუციური ბრძოლის როლზე რუმინელთა ეროვნული თვითშეგნების ჩამოყალიბების პროცესში.

გარდა ამისა პროფესორი მ. ბერზა ქართველ კოლეგებს ესაუბრა ბუქარესტის უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის ორგანიზაციულ სტრუქტურასა და ყოველდღიურ სასწავლო-სამეცნიერო ცხოვრებაზე.

სტუმარმა თბილისელ ისტორიკოსებს საჩუქრად ჩამოუტანა რუმინელი კოლეგების შრომები, რომელთაგან განსაკუთრებით საინტერესოა რადუ ალბალას ვრცელი მონოგრაფია გამოჩენილ პოლიტიკურ და კულტურულ მოღვაწეზე — ანთიმოზ ივირელზე, რომელიც წარმოშობით ქართველი იყო.

პროფესორ მ. ბერზას ვიზიტი კიდევ ერთი გამოხატულება იყო ქართველთა და რუმინელთა მეგობრობისა.

შ. ბადრიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანიშნულების პუნქტი: ალექსანდრია

ბათუმი. (საკ. კორ.). გემთმშენებლებმა ახალი შრომითი წარმატება მოიპოვეს, ორი კვირით ადრე დაამთავრეს 90-ადგილიანი სამგზავრო თბომავლის მშენებლობა.

წყალში ჩაშვების დღეს გემბარიხასთან უამრავი ხალხი მოგროვდა. ზღვიდან ნაპირს მოადგა საბუქსირო გემი, ამწეებმა საბუდრიდან დასრეს თბომავალი. იგი მსუბუქად შეცურდა ზღვაში.

თბომავალმა, რომელიც განკუთვნილია არაბეთის გაერთიანებული რესპუბლიკისათვის, გამოცდა კარგად ჩაბარა.

ამ დღეებში თბომავალი საოკეანო ხომალდის გემბანზე დაიტვირთება. დანიშნულების პუნქტია ქალაქი ალექსანდრია.

წელს საკურორტო ქალაქ სოჭში მწყობრში ჩადგა ახალი სასტუმროები — „კავკაზი“ და „მოლოდეჟნაია“. ამჟამად კიდევ 7 სასტუმრო შენდება.

სურათზე: ახალი სასტუმრო „კავკაზი“.

ფოტო მ. სტროკოვისა (საკლესის ფოტოქრონიკა).

ორი პრემიერა

გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში რეჟისორმა ნ. ეშბამ დადგა **მაქსიმ გორკის** „მოაგარაკენი“. სპექტაკლი მხატვრულად გააფორმა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ე. დონცოვამ. როლებს ასრულებენ რესპუბლიკის სახალხო არტისტები ნ. ბურმისტროვა და მ. პიასეცკი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები თ. ბელოუსოვა, ლ. ზვერევა, დ. სლავინი, ი. ზლობინი, ა. ნირავნოვი, ბ. სტავიცკი, მსახიობები ვ. სიომინა, ლ. კრილოვა, ბ. კაზინეცი, ა. ლაზარევი.

ვასო აბაშიძის სახელობის **მუსიკალური კომედიის** სახელმწიფო **თეატრში** მაყურებელმა ნახა კომპოზიტორ **არჩილ კერესელიძის** ოპერეტა „ალუბლები ყვავიან“. ოპერეტის ლიბრეტო დაწერა ო. რაზმაძემ. დადგა რეჟისორმა ე. გედევანიშვილმა, მხატვრულად გააფორმა რესპუბლიკის სახალხო მხატვარმა ე. აბელედიანმა, ცეკვები დადგა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ დ. მაჭავარიანმა, ხორმეისტერია ო. მელია. ოპერეტას დირიჟორობს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე თ. კობახიძე.

ინგლისის ჟერიდიანზე

ჟურნალისტის შენიშვნები

ფეხბურთის სეზონის განმავლობაში, რომელიც მსოფლიოს სტადიონებზე მთელ წელიწადს გრძელდება, განუწყვეტელი ხდება შეჯიბრება სულ სხვადასხვა დონეზე. არის პერიოდები, როცა ფეხბურთის მოყვარეულთა მთელი ყურადღება მიპყრობილი ხან ევროპის ან სამხრეთ ამერიკის თასის გათამაშებაზე, ხან ევროპის ჩემპიონთა თასის ან თასების მფლობელთა თასის ასპარეზობებზე. ხან მთა ადელვებთ ორი კონტინენტის უძლიერესი საკლუბო გუნდების მატჩები.

მაგრამ ახლა ყველა ამ თამაშმა უკანა პლანზე გადაიწია, რადგან მიმდინარეობს მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები, რომელიც, როგორც ცნობილია, მომავალი წლის ზაფხულში ინგლისში გაიმართება.

გაგახსენებთ ამ გათამაშების ფორმულას. რამდენიმე ათეული ნაკრები ეროვნული გუნდიდან ინგლისში უნდა ჩავიდეს მხოლოდ თექვსმეტი: ხუთი ამერიკული, ათი ევროპული და ერთი აზიური (აფრიკელებმა უარი თქვეს ჩემპიონატში მონაწილეობაზე). თექვსმეტიდან ორმა უფლება მიიღო შესარჩევი თამაშების გაუვლელად მიიღოს მონაწილეობა ტურნირში. ესენი არიან მსოფლიოს ჩემპიონები ბრაზილიელები და ორგანიზატორები — ინგლისელები. დანარჩენი თოთხმეტი ადგილი ბრძოლით უნდა იქნას მოპოვებული და, როგორც ცხოვრება გვიჩვენებს, ფრიად შეუპოვარი და დაძაბული ბრძოლით.

ამ დღეებში შემთხვევა მქონდა ლონდონში ეყოფილიყავი ფიფა-ს პრეზიდენტთან სერ **სტენლი როუზთან.** რომელმაც თქვა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატისათვის მზადება კარგი ტემპით მიმდინარეობს. ჯერჯერობით არ არის არავითარი გართულება არც ინგლისის სტადიონების მზადყოფნის აზრით, არც შესარჩევი შეჯიბრებების რეგლამენტის აზრით. სურათი ამჟამად ასეთია:

ამერიკელთა ხუთივე ადგილი უკვე გარკვეულია. ბრაზილიელები გარდა, ინგლისში ჩავლენ ჩილიელები, მექსიკელები, ურუგვაელები, არგენტინელები. უფრო რთულია ევროპის წარმომადგენელთა საქმე. ჯერჯერობით გაირკვა მხოლოდ ინგლისის, პორტუგალიის, უნგრეთის, სსრ კავშირისა და საფრანგეთის გუნდები.

ამას წინათ კარდიფში ჩვენმა ნაკრებმა დაამთავრა თამაშები თავის ჯგუფში. მოიგოროა ათი ქულა და მიიღო მსოფლიოს ჩემპიონატის დასკვნითს თამაშებში მონაწილეობის უფლება. საბჭოთა ფეხბურთელებმა მოუგეს საბერძნეთის (3:1, 4:1), დანიისა (6:0, 3:1) და უელსის (2:1) ეროვნულ გუნდებს. სწორედ ამ მატჩებმა მოუტანეს გამარჯვება ჩვენს სპორტსმენებს. უკანასკნელ თამაშს კარდიფში უელსელთა წინააღმდეგ არავითარი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა არც ჩვენი ფეხბურთელებისათვის, არც უელსის ნაკრებისათვის, რომელსაც თეორიულადაც კი არ შეეძლო დაეკავებინა პირველი ადგილი ჯგუფში. ეს პრესტიჟის მატჩი იყო. მოიგეს უელსელებმა ანგარიშით 2:1. ჩვენმა ნაკრებმა ამ შეჯიბრებაში თავი ვერ გამოიჩინა როგორც ერთიანმა, შეთანხმებულმა სფეხბურთო მექანიზმმა, რომელსაც შეუძლია მიიღოს ნიშანსმიერი, ათლეტური თამაში, ზოგჯერ მკვეთრიც კი. სამწუხარო კია, რადგან სწორედ ასეთ თამაშს, როგორც გვიჩვენა მსოფლიოს უკანასკნელმა ჩემპიონატმა ჩილეში, შეხვდებიან ისინი მომავალ წელს ინგლისში.

აქ უნდა ითქვას, რომ ჩვენი ნაკრები ჯერჯერობით მთლიანად არ არის დაკომპლექტებული. თითქმის ყოველ მატჩში მწვრთნელი **ნიკოლოზ მორუზოვი** იძულებული ამა თუ იმ მიზეზით შეცვალოს შემადგენლობა. შემფოთებას იწვევს დაცვის ხაზის ჩამოყალიბება. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჯერ კიდევ ნაპოვნი არ არიან გარე მცველები, ფრიად ბუნდოვან არის გარკვეული ორი ცენტრალური თავდამსმელი. ჩანს, ეს პრობლემა გაზაფხულის პირველ თვეებშიც უნდა გადაწყდეს.

ნოემბერში სსრ კავშირის ნაკრები თვენახევრით გაიმგზავრება სამხრეთ ამერიკაში. მას მატჩები ექნება ბრაზილიის ნაკრებთან (ერთი რიო-დე-ჟანეიროში, მეორე სან-პაულოში). შეხვედრები არგენტინაში, ურუგვაეში, ხოლო შესაძლოა ჩილეშიც. ამ ტურნირ უნდა გამოავლინოს ყველა ამჟამინდელი საუკეთესო კანდიდატები. შემოწმება იწარმოებს ძლიერ სპარინგ-პარტნიორებთან. იოლ ეროვნულ გუნდებს. სწორედ ამ მატჩებმა მოუტანეს გამარჯვება ჩვენს სპორტსმენებს. უკანასკნელ თამაშს კარდიფში უელსელთა წინააღმდეგ არავითარი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა არც ჩვენი ფეხბურთელებისათვის, არც უელსის ნაკრებისათვის, რომელსაც თეორიულადაც კი არ შეეძლო დაეკავებინა პირველი ადგილი ჯგუფში. ეს პრესტიჟის მატჩი იყო. მოიგეს უელსელებმა ანგარიშით 2:1. ჩვენმა ნაკრებმა ამ შეჯიბრებაში თავი ვერ გამოიჩინა როგორც ერთიანმა, შეთანხმებულმა სფეხბურთო მექანიზმმა, რომელსაც შეუძლია მიიღოს ნიშანსმიერი, ათლეტური თამაში, ზოგჯერ მკვეთრიც კი. სამწუხარო კია, რადგან სწორედ ასეთ თამაშს, როგორც გვიჩვენა მსოფლიოს უკანასკნელმა ჩემპიონატმა ჩილეში, შეხვდებიან ისინი მომავალ წელს ინგლისში.

აქ უნდა ითქვას, რომ ჩვენი ნაკრები ჯერჯერობით მთლიანად არ არის დაკომპლექტებული. თითქმის ყოველ მატჩში მწვრთნელი **ნიკოლოზ მორუზოვი** იძულებული ამა თუ იმ მიზეზით შეცვალოს შემადგენლობა. შემფოთებას იწვევს დაცვის ხაზის ჩამოყალიბება. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჯერ კიდევ ნაპოვნი არ არიან გარე მცველები, ფრიად ბუნდოვან არის გარკვეული ორი ცენტრალური თავდამსმელი. ჩანს, ეს პრობლემა გაზაფხულის პირველ თვეებშიც უნდა გადაწყდეს.

ნოემბერში სსრ კავშირის ნაკრები თვენახევრით გაიმგზავრება სამხრეთ ამერიკაში. მას მატჩები ექნება ბრაზილიის ნაკრებთან (ერთი რიო-დე-ჟანეიროში, მეორე სან-პაულოში). შეხვედრები არგენტინაში, ურუგვაეში, ხოლო შესაძლოა ჩილეშიც. ამ ტურნირ უნდა გამოავლინოს ყველა ამჟამინდელი საუკეთესო კანდიდატები. შემოწმება იწარმოებს ძლიერ სპარინგ-პარტნიორებთან. იოლ

მეტოქეებზე ფეხბურთელთა „წვრთნის“ დრომ, როგორებადაც შეიძლება ჩავთვალოთ საბერძნეთისა და დანიის გუნდები, განვლო. ახლა სსრ კავშირის ნაკრები შეხვდება მეტოქეებს, რომლებიც თანამედროვე ფეხბურთის ყველაზე მაღალ დონეს გვიჩვენებენ. „სამხრეთ ამერიკის საგამოცდო სესია“ უკანასკნელია საერთაშორისო კამიდის წინ ინგლისში.

გვინდა გვწამდეს, რომ საბჭოთა ფეხბურთელები გამოიჩენენ საკმაო ძალას, რათა ღირსეულად მოემზადონ მსოფლიოს ჩემპიონატისათვის. ამისათვის, გარდა ბეჯითი ვარჯიშისა ფიზიკურ მომზადებასა და ტექნიკაში, საჭიროა ისინი დაეუფლონ თავისუფალ ტაქტიკურ აზროვნებას მინდორზე, განთავისუფლდნენ სტერეოტიპული მოქმედებისაგან, განვითარონ იმპროვიზაცია, ბოლოს, გამოიყენონ ნებისყოფა, რაც, უნდა ვთქვათ, ესოდენ ცოტა იყო კარდიფში უელსთან გამართულ უკანასკნელ მატჩში.

როგორც აღვნიშნეთ თავიანთ ჯგუფში გამარჯვებულნი აღმოჩნდნენ საბჭოთა ფეხბურთელები, როგორია საქმის ვითარება მათ მომავალ მეტოქეთა შორის?

ძალიან გართულდა მდგომარეობა პირველ ჯგუფში. ორი მძაფრი მატჩი ჰქონდათ ერთმანეთთან ლიდერებს — ბულგარელებსა და ბელგიელებს. სოფიაში ბულგარელებმა მოიგეს ანგარიშით 3:0, ხოლო ბრიუსელში წაგეს 0:5.

გუშინ ტელ-ავივში გაიმართა შესარჩევი მატჩი ბელგიისა და ისრაელის ნაკრებ გუნდებს შორის. ბელგიელები აღმავლობით იბრძოდნენ და მოიგეს შეხვედრა დიდი ანგარიშით 5 : 0.

ამრიგად, ბელგიის ნაკრებმა გუნდმა დაამთავრა მატჩები პირველ ჯგუფში და ექვსი ქულით ლიდერი გახდა.

მეორე ჯგუფში ლიდერია მსოფლიოს ექს-ჩემპიონი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრები. ეჭვს არ იწვევს შედეგი მათი მატჩისა კვიპროსის სპორტსმენებთან.

გარკვეული არ არის მდგომარეობა V ჯგუფში, სადაც ჩრდილოეთ ირლანდიისა და შეერთებული ეროვნული ნაკრებმა გუნდებმა შვიდ-შვიდი ქულა მოაგროვეს.. გამარჯვებული გამოვლინდება ალბანეთთან ირლანდიელთა და ჰოლანდიასთან შეერთებულთა მატჩის შემდეგ.

მეოთხე ჯგუფში ყველაფერს გადაწყვეტს იტალიისა და შოტლანდიის მესამე მატჩი, რომელიც ნეაპოლში შედგება.

იმასთან დაკავშირებით, რომ სირიამ ეროვნული თვითშეგნების ჩამოყალიბების პროცესში.

გარდა ამისა პროფესორი მ. ბერზა ქართველ კოლეგებს ესაუბრა ბუქარესტის უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის ორგანიზაციულ სტრუქტურასა და ყოველდღიურ სასწავლო-სამეცნიერო ცხოვრებაზე.

სტუმარმა თბილისელ ისტორიკოსებს საჩუქრად ჩამოუტანა რუმინელი კოლეგების შრომები, რომელთაგან განსაკუთრებით საინტერესოა რადუ ალბალას ვრცელი მონოგრაფია გამოჩენილ პოლიტიკურ და კულტურულ მოღვაწეზე — ანთიმოზ ივირელზე, რომელიც წარმოშობით ქართველი იყო.

პროფესორ მ. ბერზას ვიზიტი კიდევ ერთი გამოხატულება იყო ქართველთა და რუმინელთა მეგობრობისა.

შ. ბადრიძე.

მ. ტალი თუ ბ. სპასკი?

კონფლიქტი გრძელდება

როგორც ცნობილია, ნონა გაფრინდაშვილმა კვლავ სამი წლით გაიხადა მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული. რაც შეეხება ტიგრან პეტროსიანს, მან 1966 წელს კიდევ უნდა „დაიცვას დისერტაცია“. დიახ, საკადრაკო სამყაროში გაბატონებული მდგომარეობა ახლა კავკასიას აქვს.

9 ნოემბერს ჩვენ ნონას შევხვდით მ. ტალთან. ჭადრაკის დედოფალი რიგელ გროსმაისტერთან მივიდა დაბადების დღის მისალოცად. რამდენადაც ნონას „ქალთა ტალს“ ეძახიან, იგი გასაგებია მიშას მხარესაა... როდესაც მეხუთე პარტია დაიწყო, სპასკიმ ერთხელ კიდევ მიულოცა თავის მეგობარსა და მეტოქეს დაბადების დღე და გადასცა მას სუვენირი, ხოლო რამდენიმე წუთის შემდეგ სპასკიმ ტალს ანუქა... პაიაც!

უკანასკნელ ხანებში მრავალ ქვეყანაში წარმოუთქვამს კამპანია ნაიტინის წინააღმდეგ. თუ კი ადამიანს სურს მსოფლიოს ჩემპიონი გახდეს, იგი უმჯობესია არ სწევდეს თამბაქოს. მსოფლიოს ახლანდელი ჩემპიონი პეტროსიანი არასოდეს ეწეოდა. იგივე შეიძლება ითქვას ეივენზე, ბოტვინიკსა და სმისლოვზე. ტალმა კი მხოლოდ 1959 წელს დაიწყო წევა და უნდა ითქვას ტუუილადაც! რუსთაველის თეატრში ტალი ერთადერთი ადამიანია, რომელიც პაპიროსს წევს. სპასკიც სწევს, მაგრამ თამაშის დროს თავს იკავებს, ე. ი. მას მეტად სერიოზული ზრახვები აქვს.

თბილისის მატჩისადმი უდიდეს ინტერესს იჩენენ მთელ მსოფლიოში. მრავალი სატელეგრაფო საagენტოები გადასცემენ მთელ პარტიას, ბევრი ქვეყნიდან რეკავს ტელეფონი. მოსკოვში, ცენტრალურ საკადრაკო კლუბში ეწყობა ყველა პარტიის დემონსტრაცია, მსოფლიოს ჩემპიონი პეტროსიანი ყოველთვის მიდის გოგოლის ბულვარზე, რათა პარტიის ანალიზში მიიღოს მონაწილეობა.

მართალია, სპასკი და ტალი დამნაშავენი არ არიან, რომ მეოთხე პარტია მალე ყაიმით დამთავრდა, მაგრამ ისინი თავს თბილისელების წინაშე მაინც უხერხულად გრძნობდნენ. და გადაწყვიტეს მეხუთე პარტიაში ფიცხელი ბრძოლა გაემართათ. როგორც ცნობილია, სპასკიმ მეოთხე პარტიაში უღალატა პირველ სვლას მეფის პაიკით, მაგრამ ტალმა თამაში ისევ ამ სვლით დიწყო. ეს სიჯიუტე ხომ არ არის? არავითარ შემთხვევაში. ორივე პრეტენდენტი პრინციპულ ბრძოლას აწარმოებს. მატჩებში ხშირად ხდება, რომ არცერთ მხარეს არ სურს დათმობა და ამიტომ მეორდება ერთი და იგივე დებიუტი. სპასკიმ კვლავ გამოიყენა მარშალის იერიში ესპანურ პარტიაში. ამჯერად ტალმა პირველმა გადაუხვია ადრე გამოყენებულ გაგრძელებას. მეტოქენი ძალზე სწრაფად თამაშობდნენ. პირველ თვრამეტ სვლაზე ტალმა სულ თხუთმეტი წუთი იფიქრა, სპასკიმ კი—35.

რთული პრობლემის გადაჭრა მოუხდა სპასკის მე-20 სვლაზე. მას შეტევის წარმოების საშუალება არ ჰქონდა. ამიტომ გაცვალა ლაზიერი. დაფაზე მდგომარეობა დაწესტრდა. რისთვისაც შეწირა სპასკიმ პაიკი? მართალია, მას ერთგვარი კომპენსაცია ჰქონდა ორი კუს სახით.

ზედმეტი პაიკის გამოყენება ტექნიკურად ძალიან ძნელი იყო. ტალის მანევრი 23-ე სვლაზე პრეს-ბიუროში არ მოიწონეს. „კვლავ ყაიმი იქნება“ — ამბობდნენ ექსპერტები. ტალი დიდი ხნით ჩაფიქრდა, ამასობაში კი სპასკი წყნარად სეირნობდა სცენაზე, სიამოვნებით სვამდა შავ ყავას და ფიქრობდა, რომ ყაიმი მიღწეულია.

40 სვლის შემდეგ პარტია გადაიდო. ჯერჯერობით ტალმა ვერაფერი მოახერხა. მაგრამ მოახერხებს კი რამეს?

ს. ფლორი,

მატჩის მთავარი არბიტრი.

◆

მ. ტალი — ბ. სპასკი

1. e4 e5 2. ∅f3 ∅c6 3. ♗b5 a6 4. ♗a4 ∅f6 5. 0—0 ♗e7 6. ♖e1 b5 7. ♗b3 0—0 8. c3 d5 9. ed ∅:d5 10. ∅:e5 ∅:e5 11. ♖:e5 c6 12. ♗:d5 cd 13. d4 ♗d6 14. ♖e3 ♖h4 15. h3 ♖f4 16. ♖e5 ♖f6 17. ♖e1 ♖g6 18. ♖f3 ♗f5 19. ♗e3 ♗e4 20. ♖g4 h5 21. ♖:g6 ♗:g6 22. ∅d2 ♗6 23. ∅b3 ♗f5 24. ∅c5 ♗:c5 25. bc ♗d7 26. ♗ad1 ♗c6 27. h4 ♗fe8 28. f3 ∅g7 29. ∅g2 ♖h8 30. ♖d2 ♗ae8 31. ♖de2 ♖e6 32. ♗f4 ♖:e2+ 33. ♖:e2 ♖e8 34. ♖:e8 ♗:e8 35. g4 g6 36. b4 ♗c6 37. ∅g3 ∅g6 38. ∅g4 ∅g7 39. ♗c7 ∅g7 40. ♗d6+ ∅g6. პარტია გადაიდო ასეთ პოზიციაში.



a b c d e f g h

თეორები ტალი ∅g4, ♗d6 პ-ბი: a2, b4, c3, c5, f3, g4, h4.

შავები სპასკი ∅g6, ♗c6, პ-ბი: a6, b5, d5, f6, g6, h5.

ბ. პ. ნასიძე

ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი ბენრიბი პორფილეს-ძე ნასიძე.

ბ. ნასიძე დაიბადა 1905 წელს ოსამსახურის ოჯახში, ქ. შორაპანში. 1932 წელს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ გაგზავნეს მოსკოვში, ტიმირიაზევის სახელობის აკადემიის ასპირანტურაში.

1933 წლიდან იწყება ბ. ნასიძის მრავალმხრივი და ნაყოფიერი შრომითი მოღვაწეობა. იგი მოსკოვის მეტროპოლიტენის პირველ მშენებლთა რიგებში დგება და დაუფალავად და კეთილსინდისიერად მუშაობს 1941 წლამდე.

1941-დან 1952 წლამდე ბ. ნასიძე ხელმძღვანელობს შავი ზღვის სანაპიროს გვირაბებისა და ხიდების მშენებლობას.

1952 წლიდან, თბილისის მეტროპოლიტენის მშენებლობის დაწყების პირველი დღიდანვე. ზათავეში უდგება ამ დიდ სატაპტო საქმეს და მისთვის ჩვეული ენერგიითა და ენთუზიაზმით მოღვაწეობს ხუთი წლის განმავლობაში.

1957-1959 წლებში იგი საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს სამშენებლო ტრესტის მმართველია. სოფლ 1959-1961 წლებში საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოში მშენებლობის პასუხსაგებ უბანზე მუშაობს.

1962 წლიდან უკანასკნელ დრომდე გ. ნასიძე რუსთავის მეტალურგიული ქარხნის დირექტორის მოადგილეა კაპიტალური მშენებლობის დარგში.

გ. ნასიძე სხვადასხვა ოროს არჩეული იყო საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის, თბილისის საქალაქო კომიტეტის წევრად, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს დეპუტატად.

გ. ნასიძის ნაყოფიერი მოღვაწეობა ორისულად დააფასეს პარტიამ და მთავრობამ. იგი დაჯილდოებული იყო შრომის წითელი დროშის ორდენით და მედლებით.

საერთო საქმისათვის თავდადებული, პრინციპული, თავმდაბალი, გულისხმიერი და სპეტაკი მეგობარი — ასეთი იყო თავისი სიცოცხლის მანძილზე გ. პ. ნასიძე და ასეთივე დარჩება იგი საზოგადოებრივობის, ამხანაგებისა და მეგობრების გულში.

საქართველოს სსრ მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი. საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრო, „თბილგვირაბმშენი“ საქართველო საგზაო ინფრასტრუქტურის სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების საქართველოს რესპუბლიკური გაგეთება.

თეატრი

თანამედროვეობის სუნთქვა

ტყიბულში, მაღაროელთა ამ შვილიერ ქალაქში რომ შედიხარ, სხვა ლამაზ ნაგებობათა შორის მაშინვე თვალში გეცემა მონუმენტური შენობა — კულტურის სასახლე.

კულტურის სასახლესთან არსებული სახალხო თეატრის კოლექტივი რეგულარულად მართავს წარმოდგენებს.

როდესაც სახალხო თეატრის კოლექტივის მუშაობას საფუძვლიანად გავეცანით და მას მიერ დადგმული პიესა ვნახეთ, დაკვირვებით, რა დიდ ნებისყოფასა და ენერგიაცობას იჩენენ მუშა მსახიობები, ყოველდღიური შრომის შემდეგ, დიდი სიყვარულით და მთელი მონდომებით რომ ეშმებიან თეატრის მუშაობაში, ცდილობენ თავიანთი სცენური ხელოვნება პროფესიულ სიმაღლემდე აიყვანონ. მათ ესმით, რომ ამჟამად სახალხო თეატრებს პარტიამ და ეპოქამ დაკისრეს საპატიო ამოცანა: ესთეტიკურად აღზარდონ მაყურებელი, ჩაუნერგონ მას შრომისადმი პატივისცემა და ახალი, კომუნისტური ჩვევები.

როდესაც ტყიბულის სახალხო თეატრის რეპერტუარს გადახედავთ, ცხადი ხდება, რომ მის მიერ დადგმული პიესების უმრავლესობა თანამედროვე შინაარსით სუნთქავს.

ტყიბულის სახალხო თეატრის ნიჭიერი კოლექტივის თვითმოქმედი მუშა მსახიობები და მათი ხელმძღვანელები (დირექტორი ნ. ქათამაძე, რეჟისორი ნ. პანტორია), ეტყობა, ენერგიას არ იშურებენ და თავგამოდებით იბრძვიან სცენური ხელოვნების აღმავლობისათვის, სიახლის დანერგვისათვის, იბრძვიან იმისათვის, რომ თავიანთი რეალისტური დადგმებით მაყურებელს გაუღვივონ სულიერი სიფაქიზე, დაანახვონ და ასწავლონ ცხოვრებისეული სილამაზის აღქმა, ადამიანის პატივისცემა. მოკალთებისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულება.

ამის დამადასტურებელია ტყიბულის სახალხო თეატრის კოლექტივის მიერ ახლახან დადგმული დრამატურგ **ვ. პატარაიას** ახალი პიესა **„მკურნალობა დარდით“.**

ვ. პატარაიას პიესის შინაარსი ცხოვრებისეულია. მასში გატარებულია ის აზრი, რომ ახალგაზრდობას დროზე უნდა გადაიყოლოს ჯერ კიდევ აქა-იქ შემორჩენილმა მეშჩანურმა ჩვეულებამ. ასეთი კარგად არის მოცემული ის ამბავიც, რომ ჩვენში ბევრად არიან კეთილი ნების ახალგაზრდები, რომლებიც, საბჭოთა ადამიანის დამახასიათებელი თვისებებით აღჭურვილნი, თავგამოდებით ებრძვიან, რომ გზას აცდენილი ახალგაზრდა კულტურული ცხოვრებისაკენ შემოაბრუნონ. პიესის შინაარსი მეტად აქტუალურია.

დამდგმელი რეჟისორი ნელი ჭანტურია თეატრის მთელ კოლექტივთან ერთად პასუხისმგებლობის გრძნობით მოკიდებია პიესის მხატვრულად ხორცშესხმას და კარგადაც დაუძლეია ამოცანა.

პიესის დადგმაში ნამდვილად რეალურ ფორმებშია გახსნილი, შექმნილია მიმზიდველი, მხატვრულად გამოკვეთილი წარმოდგენა.

მხატვარ იუსტას პეტრაიტის პირობითობის ხერხებით აქვს გადაწყვეტილი პიესის დეკორაციული გაფორმება, რაც სავსებით შეესატყვისება ავტორისა და რეჟისორის შთანაფიქრს და წარმოდგენასაც საჭირო ელფერს აძლევს.

წარმოდგენაში მონაწილეობენ თვითმოქმედი მსახიობები, რომლებიც დიდი სიყვარულითა და მონდომებით განასახიერებენ გმირებს და კარგად ძლევენ რეჟისორის მიერ დასახულ ამოცანებს.

მანანას როლს ასრულებს კულტურის სასახლესთან არსებული ვოკალური წრის ხელმძღვანელი ციცინო ქარქაშაძე, ვარდენასას — ელგუჯა ჭლიკაძე — ერთ-ერთი შახტის სამთო ტექნიკოსი. პროფესორ ხვინგიას დასამახსოვრებელ სახეს ქმნის ორჯონიკიძის სახელობის შახტის მთავარი დისპეტჩერი პავლე თოთაძე, ვაჟას თამაშობს ლენინის სახელობის შახტის ტექნიკური განყოფილების ოსტატი არჩილ ცხადაშვილი, ედიშერ ბერაძეს — ზეინალა ბისმარკ ტორძელაძე, ექვთიმე ხომერიკს — ზეინალი ილია მომაცემლიძე, რიჩარდ ხვისვინიას — ზეინალი არჩილ ახალედიანი და მეცო სოპრანაძეს — მოლარე ელენე ჯანგვაძე.

საერთოდ თეატრის მთელი კოლექტივი პასუხისმგებლობის გრძნობით მოკიდებია პიესის განხორციელების საქმეს და შეუქმნია კულტურული წარმოდგენა.

პ. ფრანგიშვილი,

საქართველოს სსრ სახალხო არტისტი.

• • •

სურათზე: სცენა სპექტაკლიდან „მკურნალობა დარდით“. მანანა — ც. ქარქაშაძე, ვაჟა — ა. ცხადაშვილი.

ფოტო გ. სახელაშვილისა.

კინოფესტივალი

ბოლოსტვენა

გადამწყვეტი — ნეაპოლში

გაიმართა კიდევ ერთი შესარჩევი მატჩი ფეხბურთში მსოფლიოს პირველობაზე. შოტლანდიელები გლაზგოს ჰემპდენ-პარკის სტადიონზე შეხვდნენ ლიდერს — იტალიის ეროვნულ ნაკრებს. 101 ათასი მაყურებელი შეუპოვარი ბრძოლის მოწმე იყო. შეხვედრის ბედი გადაწყვიტა ერთადერთმა გოლმა. გაიმარჯვეს შოტლანდიელებმა ანგარიშით 1:0. თამაშის დამთავრებამდე ორი წუთით ადრე ბურთი გაიტანა დ. ბრემნერმა.

ამრიგად, მერვე ჯგუფში კვლავ გაურკვეველია, ვინ მოიპოვებს ლონდონის საგზურს. ლიდერებს — იტალიისა და შოტლანდიის ნაკრებ გუნდებს ათი შესაძლებლიდან შვიდ-შვიდი ქულა აქვთ.

გამარჯვებულის გამოსავლინებლად იტალიისა და შოტლანდიის გუნდებს შორის დანიშნულია მესამე გადამწყვეტი პაექრობა, რომელიც 7 დეკემბერს შედგება ნეაპოლში.

საბჭოთა ოჯახიდაევების გამარჯვება

თეირანი, 10 ნოემბერი. (საკადესი). **ფრეს (4:4) შემდეგ საბჭოთა თავისუფალი სტილის მოჭიდაველებმა მეორე შეხვედრაში დაამარცხეს ირანის ნაკრები ანგარიშით 5,5:2:5. წმინდა მოგებები მოიპოვეს ბერიაშვილმა, სალარაძემ, გურგენიძემ, და ლომაიძემ. ივანიცკიმ მოიგო ქულებით, ხოლო სამედოვამ ფრედ დაამთავრა შეხვედრა.**

მატჩი თბილისში

გუშინ თბილისის „ბურევესტნიკის“ სტადიონზე გაიმართა „ა“ კლასის მეორე ჯგუფის გუნდების მორიგი მატჩი ფეხბურთში. თამაშობდნენ მეორე ფინალური ტურნირის მონაწილეები — ლენინგრადის „დინამოსა“ და თბილისის „ლოკომოტივის“ გუნდები. გაიმარჯვეს სტუმრებმა ანგარიშით 1:0.

ფეხბურთი

□ გუშინ კიევში გაიმართა საერთაშორისო ამხანაგური მატჩი თავისუფალ ჭიდაობაში. საბჭოთა კავშირში სტუმრად მყოფი პოლონელთის ნაკრები შეხვდა უკრაინელ მოჭიდაველებს. მასპინძლებმა შეიდივე წონითს კატეგორიაში გაიმარჯვეს.

□ 12 და 13 ნოემბერს მოსკოვის „კრილია სოვეტო